# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2012 წელი.

№77 (6954)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# უსისხლო „დიდი თურქობა“ აჭარაში...

4




„მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“...

## ვინ დაახვედრეს პრეზიდენტს გურჯაანში

2

## ქართული ავიაბიზნესი ვერა ქობალიას წინააღმდეგ



## რა ეშველებათ ჩამოსულებს, როცა სიმართლეს გაიგებენ?

„25 ბურის იმედად მყოფი ქვეყანა არ არის კარგად ცხოვრების ღირსი“

5




## კახა კახიშვილი: პარტიაში საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს

3

## XXI საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამი მილიონი ამომრჩევლის დათვლა!




## „მერჩივნა, თან გადავყოლოდი ჩემი ნამუშევრების ნანგრევებს და ნამსხვრევებს“

8

## მაგთიკომი და სამსუნგი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ

მაგთი MAGTI

6

### დღის ამფრაზურიდან

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართული სამხრეთაფრიკელ ფერმერთა პირველი კონგრესის მონაწილე ბურის კომენტარი:

**— მართალია, კლიმატური პირობები თქვენთან და ჩვენთან ერთნაირი არ არის, თქვენთან თოვს, ჩვენთან არა, მაგრამ ჩვენთანაც ცივა და სხვა კულტურების მოშენებას თუ ვერა, კიტრისა და პომიდვრის მოყვანას მაინც გასწავლით.**

ბლეფი

# ვინ დაახვედრეს პრეზიდენტს გურჯაანში

**„როცა ვიცი, რომ ხალხი დილის 8 საათზე ილვიძებს ჩემს სანახავად, ეს დიდი სტიმულია ჩემთვის და ჩემი მთავრობის წევრებისთვის, რომ ღამეც არ დავიძინოთ და 24 საათი ვიმუშაოთ,“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გურჯაანში. ახალი საავადმყოფოს გახსნამდე პრეზიდენტმა სამედიცინო ცენტრის ტერიტორიაზე საგანგებოდ შეკრებილ მოქალაქეებს მიმართა.**

**„ერთმა ქალბატონმა მითხრა დღეს, დილის 8 საათიდან აქ ვდგავარო. ალბათ, ყველა პრემია რომ მიმეღო მსოფლიოში, ყველა ორდენი რომ მოეცათ ჩემთვის, არ იქნებოდა იმის მეათედი ჯილდო, ვიდრე ეს სანდომიანი ქალბატონი, რომელიც მეუბნება, დილის 8 საათიდან აქ გელოდებიო, მინდა, რომ უბრალოდ შემოგხედო და არავის ძალით არ მოვუყვანივარო“, — აღნიშნა სააკაშვილმა.**

სინამდვილეში, პრეზიდენტს გურჯაანში მუნიციპალიტეტის 20-მდე სოფლიდან ჩამოყვანილი მასწავლებლები, საბავშვო ბაღების აღმზრდელები, ქალაქის სკოლების მოსწავლეები, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები დაახვედრეს.

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის გამო ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. საჯარო სკოლების მოსწავლეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, რომ სკოლის დირექტორებმა ბოლო გაკვეთილები მოხსნეს და მასწავლებლებთან ერთად, ბავშვებიც პრეზიდენტის დასახვედრად გაგზავნეს. სკოლის დირექტორებს სპეციალური სიებიც ჰქონდათ შედგენილი, სადაც პრეზიდენტის დასახვედრად წაყვანილი მოსწავლეების ვინაობა ეწერა.

პრეზიდენტის დასახვედრად სოფლებიდან ჩაყვანილმა საჯარო მოსამსახურეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, რომ მათი მგზავრობის ხარჯები სოფლის ტერიტორიულმა ორგანომ ან სკოლის დირექციამ გაიღო.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ორი თვის წინათ, ახმეტასა და ყვარელში ახლად გახსნილი სამედიცინო ცენტრები დაათვალიერა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრეზიდენტს იქაც მასწავლებლები, მოსწავლეები და საჯარო მოსამსახურეები დაახვედრა. ახმეტაში, ახლად გახსნილი სამედიცინო ცენტრის ტერიტორიაზე ხალხმრავლობა რომ ყოფილიყო, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს მოსწავლეები მანქანების საბარგულებითაც გადაჰყავდათ. პრეზიდენტს თელავშიც, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამის პრეზენტაციაზე, საჯარო მოსამსახურეები და სტუდენტები დაახვედრეს.

**ნათია დანელიშვილი,**
„კახეთის საინფორმაციო ცენტრი“

მზადება

# „მზე“ შინ არ გვინდაო?!

**რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის, პარტიის „განახლებული საქართველოსთვის“ მრჩევლის საერთაშორისო საკითხებში მინდია გულუას განცხადებით, „12 მაისისთვის დაგეგმილ მანიფესტაციაში ათასობით ადამიანი მიიღებს მონაწილეობას“. ამის შესახებ მან „ივერონის“ პრესკლუბში სკაიპ-კონფერენციის მსვლელობისას განაცხადა. 12 მაისს პარტიის „განახლებული საქართველოსთვის“ ორგანიზებით, დაგეგმილია დევნილთა მასშტაბური შეკრება თბილისსა და ზუგდიდში.**

**„აქციაზე, რომელშიც, ჩემი გათვლით, რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილები იქნებიან წარმოდგენილები. აქციაში მონაწილეობას მიიღებს სტუდენტობაც. ველოდებით თბილისის მცხოვრებლებსაც, რადგან აფხაზეთი მხოლოდ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა პრობლემა არ არის. მანიფესტაცია თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც გაიმართება. მართალია, მანიფესტაციის გამართვასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი პრობლემაა, თუმცა მხარში გვიდგანან ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარებიან“,** — განაცხადა მინდია გულუამ.



ჟურნალისტის კითხვაზე, ელოდება თუ არა იგი მხარდაჭერას სამეგრელოს რეგიონიდან, ბიზნესმენმა განმარტა, რომ სამეგრელოს ახალაიების კლანი აკონტროლებს, თუმცა მას იმედი აქვს, რომ მათი თარეში რეგიონში უახლოეს მომავალში დასრულდება.

**„არჩევნების მოახლოებასთან ერთად თქვენ ყველანი გაიგებთ სიმართლეს იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები. ხალხმა უნდა იცოდეს, რეალურად ვინ მართავს ქვეყანას“,** — განაცხადა მინდია გულუამ და იქვე დასძინა, რომ ოქტომბრისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ 10-პროცენტიანი ბარიერის გადასალახავად არ იბრძვის.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბატონი მინდია გულუას თანადგომით შენდებოდა: ჩხოროწყუში დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია და თბილისში, სამების საპატრიარქო ტაძრის ეზოში — სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი — ახლა მათი მშენებლობები შეჩერებულია, ვინაიდან მინდია გულუას ფონდის „მზე შინა და მზე გარეთას“ ანგარიშები დაყადაღებულია.

**ნატა ნიბლაძე**

აპრილის არჩევნების წინ

# „მინდა, ვეწერო ცოცხლებში!..“



**დაუზუსტებელი საარჩევნო სიები არაერთგზის გამხდარა საზოგადოების დაპირისპირების საგანი. პრობლემა მეტად აქტუალურია, რაზეც პროგრამა „კარდაკარის“ შექმნაც მოწმობს.**

**ამას წინათ საარჩევნო სიების მოწესრიგებს მიზნით, სიების დაზუსტების 21-კაციანი კომისია შეიქმნა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის, ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. კომისიის თავმჯდომარე კი „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძეა.**

„კარდაკარის“ პროგრამაში ჩართვაზე სურვილი საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს: დავით (დეფი) გოგიბედაშვილმა, ბესო კალანდაძემ, გიორგი კალანდიამ, გოგა ბარბაქაძემ, სალომე ბაკურაძემ და სხვ. გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში მათი პრესკონფერენცია გაიმართა ლოზუნგით — „მინდა, ვეწერო ცოცხლებში“!..

მათი თქმით, გაერთიანების მთავარი მიზანი სიების შემოწმებაში მონაწილეობის მიღებაა. — **რამდენიმემილიონიანი ქვეყნისთვის რთული არ უნდა იყოს სიების გარკვევა-დახვეწა. შევამოწმოთ თავიც და სხვებიც, რომ სამომავლოდ გამჭვირვალე არჩევნები გვქონდეს,** — განაცხადა ამ გაერთიანების იდეის ავტორმა პოეტმა დეფი გოგიბედაშვილმა. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ სრულიად უანგაროდ ემსახურონ ქვეყანას, რადგანაც ღირსების საკითხად მიაჩნიათ ამ პრობლემისგან თავის დაღწევა...

**— მე, როგორც მოქალაქეს, მინდა ამ პროცესში მივიღო მონაწილეობა. ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ და რითიც შეგვიძლია დავეხმაროთ, მართლაც უნდა დავეხმაროთ! ჩვენ არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ გვაქვს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, ამიტომ გვინდა, ეს პროცესი იყოს საჯარო,** — თქვა გიორგი კალანდიამ.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ისინი შეხვედრას გეგმავენ საარჩევნო სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძესთან და მასთან გაარკვევენ, თუ როგორ და რა ფორმატით შეძლებენ პროგრამაში მონაწილეობას და თანამშრომლობას.

**გულნაზ გახარია**

ვითარება

# „ეშმაკები“ — უპატრონო „ეკლესიაში“

## ქართული ავიაბიზნესი ვერა ქობალიას წინააღმდეგ

**ქართული ავიაბიზნესი რთულ ვითარებაშია. „სკაი ჯორჯია“ ფაქტობრივად უკვე „თამაშგარეა“ და, შესაძლოა, ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდეს ავიაკომპანია „აირზენაც“.**

„აირზენას“ გენერალური დირექტორი გია ოკუჯავა არ მალავს, რომ ქართული ავიაბაზრის ფლაგმანი რთულ ვითარებაშია, რასაც ოკუჯავა ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას უკავშირებს.

**„ძალიან რთული მდგომარეობაა და ეს რთული მდგომარეობა მრავალი საკითხის გამო შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდი წლების მანძილზე საქართველოს ავიაციაში გატარებულ გაუაზრებელ და არათანმიმდევრულ პოლიტიკას. ასევე იმას, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა საწვავის ფასი და პრაქტიკულად ყოველდღიურად იზრდება. საერთოდ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დიდ გავლენას ახდენს ავიაციაზე“,** — აცხადებს გია ოკუჯავა.

„აირზენას“ ხელმძღვანელი აცხადებს, იმის მაგივრად, რომ მთავრობამ ქართული კომპანიები წაახალისოს, პირიქით უცხოური ავიაკომპანიების პროტექციონიზმითაა დაკავებულიო.

**„ტერმინი „ღია ცის პოლიტიკა“ სამწუხაროდ, ჩვენთან პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს. სინამდვილეში ეს გახლავთ ორმხრივი ხელშეკრულება სახელმწიფოებს შორის და ორივე მხარეს თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეს. ევროგაერთიანებასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ევროპულ ავიაკომპანიებს საქართველოში დღეღამის ნებისმიერ დროს შეუძლიათ ფრენა, ჩვენთვის კი ევროპის ყველა ქალაქის აეროპორტი ღამით დაკეტილია! ევროპას ვინ ჩივის, „ღია ცა“ ჩვენთან ისეთი ქვეყნის ავიაკომპანიებსაც აქვთ, რომლებიც თავისთან არ ატარებენ ასეთ პოლიტიკას: თურქეთი, ყაზახეთი, ირანი, არაბეთის საემიროები, კატარი, ისრაელი და ასე შემდეგ. ირანში გვინდოდა ყოველდღიური ფრენების შესრულება, უარი მივიღეთ, რა სიხშირეებიც გაქვთ, საკმარისია, დანარჩენს ირანული ავიაკომპანიები იფრენენო. ყაზახეთში გავაკეთეთ განაცხადი ქალაქ ატირაუში ფრენების დაწყებაზე, დღემდე არ მოგვსვლია პასუხი.**

**ამაზე საქართველოს ავიაციის მესვეურებს რომ ვეკითხებით, მხრებს იჩეჩენ მხოლოდ, პასუხს ველოდებითო. იცით, რას იზამდა საკუთარი ავიაკომპანიის გულშემატკივარი ჩინოვნიკი? გააფრთხილებდა მეზობელ კოლეგას, ჩემი ავიაკომპანია თუ არ მიიღებს ნებართვას, ვერც თქვენი იფრენს ჩვენთანო“,** — აცხადებს „აირზენას“ დირექტორი.

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინათ საქართველოს მთავრობაში, კერძოდ კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისგან „აირზენას“ მისამართით გარკვეული საყვედურიც კი გაისმა. მაშინ ვერა ქობალიამ განაცხადა, რომ თელ-ავივის ავიაკომპანიებს „აირზენა“ ქართულ ბაზარზე შემოსვლაში ხელს უშლიდა, რადგანაც ქართული ავიაკომპანია მაღალ ფასებს აწესებდა. მინისტრმა მაშინ განაცხადა, რომ მზადაა, „აირზენას“ მენეჯმენტს შეხვედროდა, თუმცა როგორც შემდგომ „აირზენაში“ განაცხადეს, მათთან შეხვედრა თავად მინისტრმა არ მოინდომა.



**„მინისტრთან შეხვედრა, ჩვენი ინიციატივების მიუხედავად, არ შემდგარა. რაც შეეხება ქალბატონი მინისტრის განცხადებას, პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს გამონათქვამი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ისე კი ქალბატონი ვერა ქობალია ანტირეკლამას უწევს ქართულ ავიაკომპანიას, თანადგომის ნაცვლად“,** — აცხადებს „აირზენას“ გენერალური დირექტორი.

„აირზენას“ მენეჯმენტის განმარტებით, მთავრობისგან გაპიარებული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები სულაც არ გახლავთ ისეთი „იაფი“, როგორც სარეკლამო რგოლებიდან ჩანს. „აირზენას“ მხოლოდ იმ სეგმენტებზე აქვს კონკურენტებთან შედარებით მაღალი ფასები, სადაც ის პირდაპირ დაფრინავს და სადაც ფრენების ხანგრძლივობა დაახლოებით 8 საათზე მეტია ორივე მიმართულებით.

**„ისეთ პირდაპირ რეისებზე კი, როგორიცაა თბილისი-კიევი ან თბილისი-მოსკოვი ან თუნდაც იგივე თელ-ავივი, ჩვენი ფასები არაფრით აღემატება კონკურენტების ფასებს. თბილისი-პარიზი-თბილისის რეისის ხანგრძლივობა დაახლოებით 10 საათს შეადგენს. მარტო საწვავის სახით ხარჯი, რომლის ფასები საქართველოში, სამწუხაროდ, მონოპოლიზებულია, ამ რეისზე 35000 დოლარია. ამიტომაც 100-პროცენტიანი დატვირთვითაც რომ იფრინოს ავიაკომპანიამ, ბილეთის ფასი ვერაფრით ვერ იქნება 300 დოლარი. „თურქიშის“ რეისი თბილისი-სტამბოლი-თბილისი 4-საათიანი ხანგრძლივობისაა და, შესაბამისად, რეისის ხარჯები 2,5-ჯერ ნაკლებია. ამიტომაც მას შეუძლია, ბილეთები 200 დოლარადაც კი გაყიდოს. „თურქიშის“ ფასების სტრუქტურას თუ დავუკვირდებით, ბილეთის ფასი თბილისიდან სტამბოლამდე თუ სტამბოლის გავლით ევროპაში ერთმანეთისგან ან სრულად არ განსხვავდება ან მხოლოდ მაქსიმუმ 20% დანამატითაა. ე.ი. თუ დატვირთვა მხოლოდ თბილისი-სტამბოლის მონაკვეთზე ექნება 70%-პროცენტიანიც კი, რეისი მომგებიანია. სწორედ ადგილების ის 30% გახლავთ იაფი, რომელიც სტამბოლის გავლით ევროპაში მიემგზავრება, იმიტომ რომ, შესაბამისად, სტამბოლიდან ევროპის რეისებზე ყოველთვის რჩება დაუტვირთავი ადგილები, რომლის გაყიდვაც 1 დოლარადაც კი ულირს. ფასთა იგივე წარმოება აქვთ სხვა უცხოურ ავიაკომპანიებსაც ტრანზიტულ ბილეთებზე“,** — აცხადებს გია ოკუჯავა.

კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით, ბილეთის ფასების გაიაფება ავიაკომპანიების სიმრავლეზე იმდენად არ არის დამოკიდებული, როგორც ეს სამინისტროს მესვეურებს ჰგონიათ. უცხოური ავიაკომპანიების რაოდენობა საქართველოში 2005 წელთან შედარებით გაორმაგდა, ბილეთების ფასები კი ნამდვილად არ განახევრებულა.

მინისტრის თქმით, ავიაკომპანია „სკაი ჯორჯიას“ ხომალდები, რომელიც ბოლო პერიოდში მხოლოდ ტვირთების გადაზიდვაზე მუშაობდა, ტექნიკურად გაუმართავი იყო. მთავრობამ „სკაი ჯორჯიას“ ექვსთვიანი ვადა მისცა, რათა ახალი ლაინერი შემოეყვანათ, თუმცა ავიაკომპანიამ ეს არ გააკეთა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ფაქტი



# კახა კახიშვილი: პარტიაში საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს

***ბიძინა ივანიშვილმა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარედ პოლიტიკაში გამოუცდელი უფლებადამცველი მანანა კობახიძე დანიშნა. პოლიტოლოგების განცხადებით, ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება საკმაოდ რისკიანი იყო. ამ რისკსა და პასუხისმგებლობას თავად პარტიის ახლად დანიშნული თავმჯდომარეც აცნობიერებს და მზადაა პასუხისმგებლობა მხარდამჭერებთან ერთად გაიზიაროს.***

***— ასეთ სიტუაციაში ხელისუფლებამ ჩაგვაყენა და აუცილებელია პარტიას ჰყავდეს თავმჯდომარე. ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და მზად ვარ, ეს პასუხისმგებლობა თქვენთან ერთად გავიზიარო, — განაცხადა მანანა კობახიძემ პარტიის პრეზენტაციაზე.***

***რამდენად მართებულია ივანიშვილის გადაწყვეტილება და შეუშლის თუ არა ხელს „ქართულ ოცნების" წარმატებას პარტიის თავმჯდომარედ პოლიტიკაში გამოუცდელი კობახიძის დანიშვნა, თემის დეტალებზე „ჯი-ეიჩ-ენს" „საარჩევნო პოლიტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ესაუბრა.***

**— ბატონო კახა, რას ფიქრობთ, ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე, მანანა კობახიძის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ?**

— ვფიქრობ, მანანა კობახიძის პარტიის თავმჯდომარედ არჩევა განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილს არ მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ივანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ საააკაშვილი მოქალაქეობას აღუდგენდა, თუმცა არ მიანიჭა. ყრილობა ივანიშვილის მხრიდან უკვე დაანონსებული იყო და არ ჰყავდათ კანდიდატი თავმჯდომარის პოსტზე. ალბათ, გადაწყვიტეს, კობახიძეს დროებით შეესრულებინა თავმჯდომარის ფუნქცია.

**— რამდენად სწორი სტრატეგიაა ივანიშვილის მხრიდან პარტიის თავმჯდომარედ ისეთი ადამიანის დანიშვნა, ვისაც პოლიტიკაში, შეიძლება ითქვას, გამოცდილება არ გააჩნია?**

— ქალბატონი მანანა კარგი უფლებადამცველია, მაგრამ პოლიტიკა განსხვავებული სფეროა, სადაც ქალბატონ მანანას გამოცდილება არა აქვს. თუმცა ქვეყნისთვის არც იმ ხალხს მოუტანია არანაირი შედეგი, ვინც პოლიტიკაში 15-20 წელია არის და დიდი გამოცდილება აქვს. პარტიაში საბოლოო გადაწყვეტილებას რომ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს, ეს ფაქტია. ამიტომ, აქედან გამომდინარე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარედ კობახიძის დანიშვნა მხოლოდ განპირობებული იყო იმით, რომ ივანიშვილს არ აღუდგინეს მოქალაქეობა. პარალელურად აუცილებელი იყო პარტიის ძალიან სწრაფად ჩამოყალიბება, რადგან არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა. აქედან გამომდინარე, იფიქრეს, რომ იუსტიციის სამინისტროსთან დავა, მოქალაქეობის საკითხის გაურკვევლობა, საკონსტიტუციო ცვლილებების მოლოდინი, მხოლოდ დროის გაწელვა იქნებოდა და ჩათვალეს, რომ პარტიის ყრილობა მაინც ჩაეტარებინათ.

**— ექსპერტების განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პარტიის თავმჯდომარედ პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანის დანიშვნა რისკიანი გადაწყვეტილება იყო. თქვენ რას ფიქრობთ, ეს გარემოება შეუშლის ხელს „ქართულ ოცნებას" გამარჯვების მიღწევაში?**

— ვინც „ქართული ოცნების" მხარდამჭერია, მან ისედაც იცის, რომ პარტიის უკან მაინც ბიძინა ივანიშვილი დგას და საბოლოო გადაწყვეტილებებს, მაინც ბიძინა ივანიშილი იღებს. პოლიტიკაში გამოცდილებას, რაც შეეხება ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტიკური პარტია მინახავს, რომელთა რეიტინგი 1 პროცენტს არ აღემატება და ბევრი შეცდომაც ჰქონიათ დაშვებული პოლიტიკურ ასპარეზზე. ის, რომ პოლიტიკაში გამოუცდელ ივანიშვილს უფრო მეტი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე ყველა დანარჩენ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ეს ხომ ფაქტია. ამიტომ ივანიშვილსა და მის გარემოცვას პარტიის თავმჯდომარედ ისეთი კანდიდატურა სჭირდებოდათ, რომელიც არ შექმნიდა შიდაპარტიულ პრობლემებს და არ ექნებოდა მოთხოვნა საკითხების პრინციპულ გადაწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა უმჯობესია „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ხალხთან ურთიერთობა იქონიონ, ვიდრე ტრიბუნიდან ისაუბრონ. პოლიტიკოსი საზოგადოებასთან როცა ურთიერთობს, იცის ხალხი რის მოლოდინშია, რას ელის, რა პრობლემები აწუხებს, ამიტომ მართებული იქნება, ყოველდღიურად იქონიონ ხალხთან კონტაქტი, რასაც აქამდე ვერ ვხედავ.

**— ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული ადვოკატებისგან განსხვავებით, ეკა ბესელია პარტიის ვერც ერთ სტრუქტურაში ვერ მოხვდა. რას უკავშირებთ ამ ფაქტს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბესელიას პარტიაში არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ უკავია, მაინც დანამდვილებით ვიცი, რომ ჩართულია „ქართული ოცნების" მუშაობაში. რაც შეეხება იმას, რატომ ვერ მოხვდა ბესელია პარტიაში, ან პოლიტიკურ საბჭოში, ეს უფრო შიდა პრობლემების ბრალია...

**ესაუბრა**
**მირანდა ნაბახტეველი**

ინფორმაცია

## უქონელთა შემოწირულობა „განახლებული საქართველოსთვის"

**როგორც კონტროლის პალატის განცხადებაშია აღნიშნული, შეკითხვებს ის გარემოება ბადებს, რომ შემომწირველ პირებს არანაირი სახის შემოსავალი და ქონება არ გააჩნიათ.**

**აღნიშნულის გამო მონიტორინგის სამსახურმა პირები, რომლებმაც „განახლებული საქართველოს" სასარგებლოდ შემოწირულობა განახორციელეს, ახსნა-განმარტების მისაცემად დაიბარა.**

**— ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ამ მოქალაქეების მოწვევის საფუძველია ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს რაიმე სახის შემოსავალი და ქონება არ გააჩნიათ და არსებობს დასაბუთებული კითხვები მათ მიერ განხორციელებული შემოწირულობების კანონიერებასთან დაკავშირებით. კონტროლის პალატაში მოქალაქეების გასაუბრებაზე მოწვევის მიზანი იყო, მათ მიერ განხორციელებული შემოწირულობების წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და განხორციელებული შემოწირულობების კანონიერების დადგენა, — ნათქვამია კონტროლის პალატის განცხადებაში.**

**მათივე ინფორმაციით, მოქალაქეებთან გასაუბრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 341 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელდება, რომლის შესაბამისად, კონტროლის პალატა უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში პირებისგან მათ მიერ პოლიტიკური სუბიექტისთვის გადაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია მოითხოვოს.**

**ამასთან, კონტროლის პალატის ცნობით, პირებთან გასაუბრება მოწმის სტატუსით მოხდა.**

**ინტერპრესი**

აქილევსის ქუსლი?!



# XXI საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამი მილიონი ამომრჩევლის დათვლა!

***საარჩევნო სიები ქართული არჩევნების აქილევსის ქუსლია. ყველა არჩევნების დროს ხელისუფლება სიებით მანიპულირებს და მიუხედავად უამრავი ღონისძიებისა, რაც თითქოს ამ მიმართულებით გატარდა, ფაქტია, რომ საარჩევნო სიები დღესაც არაზუსტია. ხელისუფლებამ ამ სიტუაციიდან გამოსავალი შემოგვთავაზა და შექმნა საარჩევნო სიების დაზუსტების კომისია, რომელსაც მემარჯვენე მამუკა კაციტაძე ხელმძღვანელობს და, რომელმაც კარდაკარის პრინციპით უნდა გადაამოწმოს სიები. თუმცა კომისიის მიმართ ნდობა მოსახლეობაში ძალიან დაბალია.***

***რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ „ედპც" იწყებს კარდაკარის პრინციპით საარჩევნო სიების გადამოწმებას. დღეს კი იგივე ქმედება დააანონსა „ქართული ოცნების" წევრმა ელისო ჩაფიძემაც. მისი თქმით, კოალიცია არა მხოლოდ საარჩევნო სიებს გადაამოწმებს, არამედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით მთელი რიგი ღონისძიებები აქვს დაგეგმილი.***

***რატომ ატარებს „ქართული ოცნება" კარდაკარს და ენდობა თუ არა იგი სხვის მიერ ჩატარებულ იგივე კამპანიას, ასევე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის რის გაკეთებას აპირებს? — ამის შესახებ Presage.tv-ს ელისო ჩაფიძე ესაუბრება.***

— ამ შემთხვევაში მე ეჭვქვეშ არ დავაყენებდი ხელისუფლების მიერ შექმნილ საარჩევნო სიების დაზუსტების კომისიას, თუმცა, რა თქმა უნდა, „ახლების" ხელისუფლებასთან დაახლოების თემა არახალია და „ედპ"-სთან დაკავშირებითაც საზოგადოებაში არსებობს ანალოგიური მოსაზრება. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ ვართ რეალური ოპოზიცია და იმისთვის, რომ არ მოხდეს ხელისუფლებასა და გარკვეულ კომისიებს შორის გარიგება, ჩვენ გვჭირდება, რომ გვქონდეს საკუთარი ინფორმაცია.

რეგიონებიდან სისტემატურად გვაწოდებენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს საარჩევნო სიებში არარსებული ადამიანების ჩაწერა, მიცვალებული ადამიანების აღნუსხვა და ა.შ. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მსგავსი ინფორმაციების გადამოწმება. ამას ვერავინ აგვიკრძალავს.

**— აქვს „ქართულ ოცნებას" იმისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც მომზადებულია, რომ ამხელა სამუშაო ჩაატაროს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახში მივიდეს სიების გადასამოწმებლად?**

— ასეთი ადამიანების ნაწილი უკვე გვყავს, ნაწილი კი ძალიან მალე გვეყოლება. არჩევნებამდე დარჩენილი არის გარკვეული დრო, ეს არ არის ძალიან დიდი პერიოდი. ჩვენ მოკლებულნი ვართ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ზოგადად ქართული სახელმწიფოს სირცხვილია ის, რომ (საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონამდეც კი აღარ არის, მათ შორის კი შეუძლებელია სამ მილიონზე მეტი იყოს საარჩევნო ხმის მქონე, ანუ 18 წელზე მეტი ასაკის ადამიანი). 21-ე საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამი მილიონი ამომრჩევლის დათვლა, დამისამართება და ამისთვის გვჭირდება ამერიკის საელჩოს დახმარება, რაღაც პროგრამები და ამ თვალსაზრისით მთელი მსოფლიოს მასშტაბით თავი გვაქვს მოჭრილი.

თქვენ წარმოიდგინეთ, გაეროს მიერ სავალდებულოდ დადგენილი მოსახლეობის აღწერის 10-წლიანი ციკლიც კი დაირღვა იმისთვის, რომ არ გვქონდეს დაზუსტებული ამომრჩეველთა სიები. ეს არჩევნების გაყალბებისთვის ქმნის ძალიან ნოყიერ ნიადაგს. ამით არის დაინტერესებული ხელისუფლება, რადგან როდესაც თავის დროზე მას შესთავაზეს, თითის ანაბეჭდების საშუალებით მომხდარიყო ადამიანების იდენტიფიცირება, ვინაიდან ეს არის მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა, ხელისუფლება მაქსიმალურად ეცადა, ვადა გაეჭიმა, აქამდე მოეყვანა საქმე და კაციტაძის ხელმძღვანელობით მოქმედი სამთავრობო კომისიით ჩაენაცვლებინა ის ალტერნატივა, რაც ცდომილების 1-3%-იან გარანტიას მოგვცემდა.

**— თქვენ თვითონვე ამბობთ, რომ ხელისუფლებას არ აქვს საარჩევნო სიების დაზუსტების პოლიტიკური ნება. ამ ფონზე როგორ აპირებთ, რომ თქვენს მიერ კარდაკარის შედეგად დაზუსტებული სიები იქნეს საარჩევნოდ გათვალისწინებული?**

— ჩვენ ვაპირებთ ამ ყველაფრის გაკეთებას საერთაშორისო მონიტორინგისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით. ასევე ვაპირებთ საზოგადოებას ვაჩვენოთ, თუკი ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს, როგორი მეთოდებით გააკეთებს იგი ამას. ჩვენს პოლიტიკურ ძალას არასოდეს გამოურიცხავს ქუჩაში გამოსვლის შესაძლებლობა, თუკი ხელისუფლება ეცდება არჩევნების გარკვეულ ზღვარს ზემოთ გაყალბებას.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რა არის ეს ზღვარი?**

— ცდომილება შეიძლება იყოს 3%, ეს არის დასაშვები ზღვარი. არჩევნების გაყალბება ხელისუფლებამ რაღაც დოზით უკვე მოახერხა არათანაბარი საარჩევნო პირობების შექმნით, ასევე იმ ინფორმაციული ვაკუუმით, რომელიც რეგიონებში არსებობს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებითა და ადამიანების დაშინებით.

მე ვფიქრობ, რომ ამის ზევით, ანუ კარუსელებით და სიების გაბერვით გაყალბების საშუალება ხელისუფლებას აღარ უნდა მივცეთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მცდელობები დაფიქსირდება და გამოიწვევს საზოგადოების ძალიან დიდ პროტესტს, თუმცა ჩვენ არ გვინდა, რომ მოვლენები ამ სცენარით განვითარდეს.

**ნინო ჟღენტი**

# უსისხლო „დიდი თურქობა“ აჭარაში...

**ეკონომიკურ-იდეოლოგიური ექსპანსია — აი, მოკლედ თუ ვიტყვით ის, რაც წერილის სათაურში იგულისხმება. უფრო ვრცლად კი...**

**ამა წლის 31 მარტს, ბათუმში გახლდით აზიზის მეჩეთის აშენების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციაზე. ქალაქი, რომელთანაც ჩემი სიყრმის სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს და სადაც 20 წელიწადია აღარ ვყოფილვარ, ისეთი ცივი თავსხმა წვიმით დამხვდა, რომ ძვალ-რბილში გამატანა. თითქოს საკადრისი მომიზღო ამდენი ხნის უნახაობის გამო.**

ერთი სიტყვით, საშინელი ამინდის მიუხედავად, აქცია შედგა და, შეიძლება ითქვას, მცირე, მაგრამ რაღაც შედეგი მაინც მოიტანა — ჯერჯერობით ბულდოზერების გრუხუნი არ ისმის, თუმცა არც პასუხია ხელისუფლებისგან, თუ რას აპირებენ მომავალში.

საღამოს კი, ყოფილი რესპუბლიკელის (რომელიც სწორედ აზიზის მეჩეთის გამო გარიცხეს რესპუბლიკელებმა საქართველოს ყველაზე „მაღალრეიტინგული“ პარტიიდანძ და ახლა მოძრაობა „ემსახურე საქართველოს“ ლიდერის, მურმან დუმბაძის პატრიარქალურ (!!!ძ ოჯახში გამართულ ვახშამზე ბევრი ისეთი რამ შევიტყვე, რაზედაც ადრე წარმოდგენა არ მქონდა.

კერძოდ ის, რომ ასლან აბაშიძის დროინდელ აჭარაში არც ერთი თურქული ბიზნესი არ არსებობდა. უფრო მეტიც, არა თუ ბიზნესი, აჭარის შვიდივე რაიონის საპასპორტო განყოფილებების უფროსები დაუბარებია „ასლან ბაბუს“ და უბრძანებია — კაი დედის შვილები ხართ და ვინმემ გაბედეთ თურქების აჭარაში ჩაწერა, მხრებზე თავები არ შეგრჩებათო!

ახალი მეჩეთების მშენებლობა კი არა, ვიღაც თურქ „ქალანს“ 20 მილიონი დოლარი შეუძლევია „აჭარის ლომისთვის“, ბათუმში მოქმედ მეჩეთს მინარეთს მივაშენებო და ასლან აბაშიძეს აჭარის მთავრობის სხდომაზე უთქვამს — მაგას როგორ გავაკეთებ, მე ხომ დიდი მემედ აბაშიძის ბადიში ვარო!

უკვე ჩამესმის ამ სტრიქონების გამო აღშფოთებული არასამთავრობო თუ სამთავრობო „ლიბერასტი საჭურისების“ სისინი — აი, როგორი ფაშისტი ყოფილა აჭარის დიქტატორიო, მაგრამ ეგ არაფერი, ქართველობისთვის ლანძღვა-თათხვა ვის გაუკვირდება ჩვენში? მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძე ფრთიანი ანგელოზი არ იყო, სულის ცხონებად ზემოთ თქმული და ისიც ეყოფა, რომ მის დროს ერთი გოჯი ქართული მიწა არ გასხვისებულა უცხოტომელზე...

ახლა (ზურიკელა ვაშალომიძის სკოლის დირექტორის პერიფრაზითძ, როგორია ვითარება ვარდების რევოლუციით გათავისუფლებულ აჭარაში? რა თქმა უნდა, პირიქით — თუ სადმე „ფული იჭრება“, როგორც წესი თურქები ჭრიან; „არნახული აღმშენებლობის“ ფონზე 20 ათასზე მეტი თურქია აჭარაში მუდმივად მცხოვრები; რა თქმა უნდა, საკუთარი წვრილ-მსხვილი ბიზნესებითურთ, იქამდეც კი, რომ ბათუმის სახლების პირველ სართულებზე, ანუ, მაღაზია-ბუტიკებ-კაფეებში ძირითადად თურქული, ხოლო შიგადაშიგ სომხური საუბარი ისმის.

ასეთი რამ აჭარას მაშინაც კი არ ახსოვს, როდესაც საქართველოს ეს ულამაზესი ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი, გურჯისტანის ვილაიეთი იყო!

და ყველაზე მთავარი თუ სამწუხარო — ეს ყველაფერი მიდის თურქეთთან „მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მეგობრობის“ და ანტირუსული ისტერიის ფონზე.

გახსოვთ ალბათ, საქართველოს პრეზიდენტის შოკისმომგვრელი განცხადება, რომელიც მან ბათუმში გააკეთა თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტისას, როდესაც თურქეთს ისტორიული და მრავალსაუკუნოვანი მეგობარი უწოდა.

დიპლომატიაც გამიგია და, აქედან გამომდინარე, პრაგმატულობაც, მაგრამ მსგავსი განცხადება, არა მგონია, რომელიმე მათგანის ჩარჩოებში თავსდებოდეს, რადგანაც ეს იყო უკეთეს შემთხვევაში, უმეცრება, რეალურად კი ისეთი გულისამრევი მაამებლობა, რომელმაც საამებელი „ობიექტი“, რეჯეფ ტაიფ ერდოგანიც კი, უხერხულში ჩააგდო. შემდეგ იყო თუ იმავე ვიზიტისას არ მახსოვს (მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?ძ — თქვენ საკუთარ სახლში ჩამოხვედითო, კიდევ ერთხელ აამა მაღალ სტუმარს მიხეილ მაღალმა.

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ეს ყველაფერი აგვისტოს ომის შემდეგ ხდება და ამ ფონზე რუსეთის ისტორიულ მტრად შერაცხვა, სიმართლეც რომ იყოს (???ძ, სულ მცირე ისტორიული უმადურობაა რუსეთის მიმართ. თუნდაც იმიტომ, რომ ის „საკუთარი სახლი“, რომელშიც დაბრუნება მიულოცეს თურქეთის პრეზიდენტს, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, სწორედ რუსული სისხლით და ხიშტით დაუბრუნდა დედასაქართველოს.

ეგეც არ იყოს, ისიც კარგად გვახსოვს, რომ აგვისტოს ომის დროს ჩვენმა „ისტორიულმა მეგობარმა“ ჯერ ბოსფორის სრუტე დაუბლოკა აშშ-ის სამხედრო გემებს, რომლებიც, მართალია, მხოლოდ სასმელი წყლით იყო დატვირთული, მაგრამ მათი გამოჩენა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მაინც რაღაცა დოზით შემაკავებელი ფაქტორი იყო რუსული აგრესიისა.

ამ ბლოკადის პარალელურად კი ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთის პრეზიდენტი მოსკოვში ჩაფრინდა იმის იმედად, რომ, ეგება და, რუსეთთან მოეხდინა შეთანხმება და ყარსის ხელშეკრულების ის მუხლი აემოქმედებინათ, რომელიც თურქეთს ბათუმის ოლქის ოკუპაციაზე მწვანე შუქს აუნთებდა.

( სხვათა შორის, დიდი იყო ალბათობა, გასული საუკუნის 20-იანი წლების სცენარის განმეორებისა, როდესაც ერთი მხრიდან ბოლშევიკური 11-ე არმია ახდენდა საქართველოს ოკუპაციას, ხოლო მეორე მხრიდან — თურქეთი. რომლის ჯარებმაც გურიამდე უწიეს და რომ არა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის და მოხალისე ქართველთა გმირობა, ვინძლო დღეს აჭარა ისევ გურჯისტანის ვილაიეთი ყოფილიყო.ძ

მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენმა „ისტორიულმა მტერმა“ რუსეთმა, ჩვენს „ისტორიულ მეგობარ“ თურქეთს 2008 წლის აგვისტოში მწვანე შუქი არ აუნთო ბათუმის ოლქის ოკუპაციაზე...

აი, რას ამბობს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია საკუთარ ინტერვიუში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ სამ ნაწილად გავიდა და რომელიც შორს სცდება ინტერვიუს, როგორც ასეთის, ჟანრს. რადგანაც ბატონი ჭაჭიას ნააზრევს უფრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული, გნებავთ, ზნეობრივი დოკუმენტობის საფუძვლიანი პრეტენზია აქვს. მათგან იმ ამონარიდებს მოვიყვან, რომლებიც ასე თუ ისე წინამდებარე წერილის თემებს ეხმაურება.

**თურქული ეროვნული ელიტა** (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედროძ **ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს — საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;**

**თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა საქართველომ;**

**თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;**

**ერთი მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და, მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე.**

ჩემი აზრით, ერთობ საყურადღებო და გასათვალისწინებელი მოსაზრებებია...

და იქვე აზიზის მეჩეთის შესახებ კითხვა-პასუხი:

**— დღეს საზოგადოება ძალიან აღელვებულია ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებით, ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობის გამო. რატომაა ხელისუფლება ასეთი ჯიუტი ამ გადაწყვეტილებაში?**

**— იმიტომ, რომ ჩვენს ხელისუფლებაზე აჭარაში აღარაფერია დამოკიდებული. თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ ზრდილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერავინ შეუშლის ხელს.**

ამ მეჩეთთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩემთვის ძვირფასი ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, მათ შორის იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვუწოდებ, ძალიან ფრთხილად იმოქმედონ. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს. ერდოღანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს.

**და ბოლოს — ჩემი აზრით, აჭარის დამპყრობელი სულთან აზიზის სახელობის მეჩეთისა თუ სხვა სახის „კულტურული კერის“ აშენება-არაშენებას, სხვა ყველაფერთან ერთად, ზნეობრივი, პრინციპული დატვირთვაც აქვს, რადგანაც მეჩეთის აშენება ასე, რომ იტყვიან ხელების გადაგრეხვით (თანაც სად? იმ ადგილას სადაც გიორგი მაზნიაშვილთან ერთად ნაბრძოლი გმირები განისვენებენ), იმის სიმბოლიზაცია იქნება, რომ საკუთარ სახლში არაფერს გვეკითხებიან. ანუ, უსისხლო დიდი თურქობის!**

საქართველოს ისტორიამ სისხლიანი დიდი თურქობებიც იცის — თითქმის მთელი XI საუკუნე გვარბევდნენ და გვაწიოკებდნენ ჩვენი „ისტორიული მეგობრები“: ჯერ სულთან ალფარსლანმა დაიწყო, შემდეგ ესტაფეტა მალიქშამ გადაიბარა, რომელთაც ამაოდ შეალეწეს ფარ-ხმალი ბაგრატ მეოთხემ და გიორგი მეორემ. საქართველოს საბოლოოდ მოთხრა კი, სადაც მემატიანეს თქმით უკვე — სოფელში ძაღლი არ ყეფდა და მამალი აღარ ჰყიოდა, მომდევნო სულთან ბარქიაროკს უნდა დაესრულებინა, რასაც დავით აღმაშენებლის გენიამ შეუშალა ხელი.

**დღეს უსისხლო, მაგრამ მიუხედავად ამისა არანაკლებად საშიში „დიდი თურქობის“ ჟამს, დღეს დავით აღმაშენებლის ტახტზე, მიხეილ მაღალი დაბრძანებულა...**

**ღმერთო, შენ უშველე საქართველოს...**

**დავით მხეიძე**




„მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“...

ინფორმაცია

## ავღანეთიდან კიდევ ერთ ქართველს ჩამოასვენებენ

**ავღანეთში** ქართველი სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 1976 წელს დაბადებული სერჟანტი ხუჯაძე 31-ე ბატალიონის შემადგენლობაში , ISAF-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. სამხედრო მოსამსახურე პატრულირების დროს მოწინააღმდეგის მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

ხუჯაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2004 წლიდან მსახურობდა. მონაწილეობდა ერაყის სამშვიდობო მისიაშიც. 2011 წელს ხუჯაძეს მიღებული აქვს მედალი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის. დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სოციალურ პაკეტს მიიღებს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სულ ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას 16 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ინტერპრესი



ვაი ჩვენს პატრონს

*მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში ვიზიტისას დაგვპირდა, რომ მისი წარმატებული რეფორმების სიკეთეს მალე ქართველი ხალხი საკუთარ თავზეც გამოსცდიდა. მართალია, ბურების საქართველოში ჩამოყვანისა და მათი წყალობით სოფლის მეურნეობის აყვავების იდეა ყველას ჩაშლილი ეგონა, რომ უცებ საქართველოს დედაქალაქში, სასტუმრო „რედისონში“ სამხრეთ აფრიკელ ფერმერთა (ბურების) პირველი კონგრესი გაიმართა.*

*კონგრესი მართლაც ეფექტურად ჟღერს, თუმცა ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას სულ 60-მდე ფერმერი ესწრებოდა, ალბათ ისიც, როგორც ჩვენს ხელისუფლებას სჩვევია, საგანგებოდ, ყვითელი ავტობუსებით ჩამოყვანილი.*

*კონგრესი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ გახსნა. სხვათა შორის, ბურების ჩამოსახლების იდეის ავტორიც ბატონი დავითაიაა.*

*გადაარჩენენ თუ არა ბურები ქართულ სოფელს, სადაც მიწები დაუმუშავებელია მხოლოდ იმის გამო, რომ საწვავი ძვირია, ძნელი სათქმელია.*



# რა ეშველებათ ჩამოსულებს, როცა სიმართლეს გაიგებენ?

## „25 ბურის იმედად მყოფი ქვეყანა არ არის კარგად ცხოვრების ღირსი“

**ვახტანგ თევდორაშვილი, კახელი ფერმერი:** „16 ჰექტარი მიწა მაქვს აღებული იჯარით, თითქმის მთელ მიწას საძოვრად ვიყენებ, მხოლოდ მცირე მონაკვეთზე მომყავს ბოსტნეული. ნაკვეთის ნაწილი ტბას ესაზღვრება და ირწყვება, აქ საირიგაციო პრობლემა თავისთავად მოგვარებულია და ეს დამატებით ხარჯებს აღარ საჭიროებს. მთავარი პრობლემა ქართველი გლეხის სიზარმაცე არ არის, როგორც ეს ჩვენს მთავრობას ჰგონია.

საწვავი საკმაოდ ძვირია, მოხვნა, დაფარცხვა, ტრაქტორისტის გასამრჯელო, სასუქიც იაფი არ ჯდება. ვიდრე მოსავალს მოიწევ, რამდენჯერმე უნდა გათოხნო. ამისთვის მუშების დაქირავება გიწევს. თითო მუშა დღეში 20-25 ლარია, მოსავლის აღების დროსაც მუშას ქირაობ და საბოლოოდ ისეთი ძვირი გიჯდება ამ ბოსტნეულის მოყვანა, დანახარჯი რომ აინაზღაურო, საკმაოდ ძვირად უნდა გაყიდო. ხალხს კი ფული არ აქვს და ვერ ყიდულობს. იძულებული ხარ, იაფად გაყიდო, თუ არა და გაგიფუჭდება მოსავალი და მთელი წლის შრომა წყალში ჩაგეყრება. თუ დასამუშავებელი ფული ნასესხები გაქვს, ვალში ჩავარდები. რამდენჯერმე ვცადე, საზამთროც მოვიყვანე, ხახვიც, ნიორიც და პომიდორიც. ცუდი მოსავალი არ მომსვლია, მაგრამ რომ გადავთვალე, იმდენი ხარჯია, ბოლომდე ვერ ანაზღაურებს. ბურები და ესკიმოსები მასწავლიან მე, კიტრი როგორ დავთესო და მოვუარო? რაღაც არ მჯერა მაგ ზღაპრების, მთავრობას ის ურჩევნია, საწვავი და სასუქი გაგვიიაფოს და დანარჩენს ჩვენ თვითონვე მივხედავთ“.

**დემურ გიორხელიძე,** რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ჯგუფს ხელმძღვანელობს, მიიჩნევს, რომ ბურების ჩამოყვანით საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტი არ შეიძლება იყოს რეალური.

**„თავის დროზე, როდესაც ხელისუფლებამ ეს ინიციატივა გაახმაურა, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მქონდა, რადგან ეს არის მცდარი გადაწყვეტილება. ოცი იქნება ეს თუ ოცდახუთი ბური, ფრანგი ან იტალიელი, შეუძლიათ, მოვიდნენ და თავისუფლად იმუშავონ, ეს არანაირ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ ის, რომ ბურები საქართველოს სოფლის მეურნეობას რაიმე სასიკეთოს მოუტანენ, ეს სასაცილო ამბავია.**



**არანაირი შედეგი ამ ინიციატივას არ მოჰყვება, რადგან პრობლემები, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობაშია, საკმაოდ კომპლექსურია. სხვათა შორის, „ქართულ ოცნებას“ უკვე გააჩნია საკმაოდ ღრმად გააზრებული სოფლის მეურნეობის კონცეფცია, რომელიც ექსპერტიზას გაივლის მსოფლიოს ყველაზე რეიტინგულ საექსპერტო წრეებში და ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა ნელ-ნელა დავაყენოთ ფეხზე, ამას მხოლოდ პოლიტიკური ნება და ხელისუფლების მხარდაჭერა დასჭირდება და არა ბურების ჩამოსახლება. ჯერ კიდევ არის შანსი და რესურსი სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად. თუმცა ახლა ის კატასტროფას უახლოვდება.**

**„საქართველოს ხელისუფლება დანაშაულს სჩადის, როდესაც საკუთარი ხალხის სრული სიღარიბის პირობებში ჩალის ფასად ჰყიდის მიწას. ამიტომაც მიიღეს ე.წ. ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ქვეყნის უმთავრესი რესურსის ჩალის ფასად გაყიდვა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ბურები შეძლებული ხალხია, ფული აქვთ, ჩაიგდებენ ამ მიწებს ფაქტობრივად, საჩუქრად და როცა დრო მოვა, აუცილებლად გაყიდიან და გაყიდიან ათმაგ ფასად. ბურები არ არის ის ხალხი, ვინც საქართველოში სამუდამოდ დარჩება. რამდენიმე ათეული ოჯახი თუ დარჩა, ეს არ არის პრობლემა, მაგრამ ქართველ კაცს იმისი იმედი რომ ჰქონდეს, 200 თუ 250 ბური საქართველოს სოფლის მეურნეობას დააყენებს ფეხზე, ქართველ კაცს უბრალოდ, ჭკუა და გონება დაუკარგავს.**

**ბურებმა შეიძლება შექმნან რამდენიმე კარგი ფერმერული მეურნეობა, მაგრამ ეს საქართველოს სოფლის მეურნეობას ფეხზე ვერ დააყენებს. ადრეც ვამბობდი, შემოუშვით ბურები და რომ დაინახავენ, რა დღეშია ქართველი ხალხი, თვითონვე გაიქცევიან-მეთქი. შარშან ბურები ჩამოვიდნენ საქართველოში, დაიწუნეს ქვეყანა და წავიდნენ, ახლა ხელისუფლებამ პირი რომ მოიბანოს, რაღაც დამატებით შეღავათებს დაპირდა და ისინიც ჩამოვიდნენ. 25 ბურის იმედად მყოფი ქვეყანა არ არის ღირსი იმისა, რომ კარგად იცხოვროს. არ მგონია, ვინმე გონიერი რეალურად ფიქრობდეს, რომ 25 ბური საქართველოში რაიმე სასიკეთოს გააკეთებს, იმ მასშტაბით, რომ ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური ფონი და ეს საშინელი, სამარცხვინო სიღარიბე შეიცვალოს“.**

**კახი კახიშვილი,** ექსპერტი: — **„პირდაპირ, ნონსენსია, კიდევ კარგი, რომ მოიფიქრეს და ბურები ჩამოიყვანეს, რომ გაგვეგო, რა არის კიტრი და პომიდორი, თურმე აქამდე ჩვენ ეს არ გვცოდნია. ეს არის კიდევ ერთი მცდელობა იმისა, რომ ჩაგვინერგონ, 2003 წლამდე ჩვენ არაფრის გამკეთებლები არ ვიყავით და თურმე, ახლა ვსწავლობთ ყველაფერს, ცხოვრებასაც, სახელმწიფოებრიობასაც და თურმე კიტრი-პომიდვრის მოყვანასაც. შემდგომში, ალბათ, ამ კიტრი-პომიდვრის ჭამასაც გვასწავლიან.**

**ჩვენი ხელისუფლების თვალში ყველაზე ბოლო ადგილას, ყველაზე ბოლო წერტილში ვართ. ჰგონიათ ჩვენზე დაჩაგრული და უცოდინარი ხალხი არ არსებობს და იმიტომაც მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კიტრი და პომიდორი ბურებმა უნდა მოიყვანონ, თურქებმა შენობები აგვიშენონ და შემდგომში უცხოურმა კომპანიებმა ეს შენობები მართონ, სადმე თუ კანალიზაცია დარჩა გასაწმენდი, იქ უკვე, ალბათ, ქართველებიც გამოვადგებით.**

**მინდა დავუბრუნდე იმ კომენტარს, რომელიც ბურების წარმომადგენელისგან მოვისმინე. აი, რას ამბობს, მართალია, კლიმატური პირობები თქვენთან და ჩვენთან ერთნაირი არ არის, თქვენთან თოვს, ჩვენთან არა, მაგრამ ჩვენთანაც ცივა და სხვა კულტურების მოშენებას თუ ვერა, კიტრისა და პომიდვრის მოყვანას მაინც გასწავლითო. ასეთ დონეზე რომ წარუდგენს ჩვენი ხელისუფლება უცხოელებს ჩვენს თავს, მერე აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხს საელჩოებში რატომ ელაპარაკებიან ზემოდან ქვემოთ, რატომ არ მიაჩნიათ ფაქტობრივად, ხალხად და რატომ ექცევიან ასე ვიზების გაცემის დროს. ჩვენს სახეს ქმნის ჩვენი ხელისუფლება და ალბათ, ისეთ სახეს ქმნიან, როგორც გვექცევიან“.**

**...ნაწყვეტი ბურების პირველი შთაბეჭდილებებიდან:** **დღეისთვის საქართველოში საკვები პროდუქტების 70 პროცენტი იმპორტირებულია. მთავრობას სურს, მომავალი ხუთი წლის მანძილზე, ეს ციფრი 30 პროცენტამდე შემცირდეს. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც იმპორტიდან დიდ ფულს იღებენ, ამიტომ ისინი არ იქნებიან ბედნიერები, თუ ჩვენ საკმარის საკვებს ვაწარმოებთ და ბაზრებს დავუნგრევთ. ჩვენს ფერმერებს აქვთ საშუალება, დაკავდნენ ბიზნესით სხვა კონტინენტზე, გაცილებით უსაფრთხო გარემოში. საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სეგმენტში შევქმნათ წარმატებული ფერმერული მეურნეობები. ჩვენ გვაძლევენ საშუალებას, საქართველოში ვიყიდოთ 80 ათასი ჰექტარი მიწა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები ქვეყნის ათივე რეგიონშია ხელმისაწვდომი“.**

**როგორც ჩანს, ბურებს არავინ განუმარტა, რომ ადამიანები რომლებიც იმპორტიდან დიდ ფულს შოულობენ სწორედ ისინი არიან, ვინც ამ ქვეყანას მართავენ და უკვე წლებია, საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეგნებულად, საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ აფერხებენ.**

მარიამ თოდაძე

## დედამიწის ზურგზე



**იდეალურ მოგზაურობათა საიდუმლო: დაასახელეს ყველაზე უკეთესი ადგილი თვითმფრინავში**

გამოკითხვის შედეგებით ყველაზე ხელსაყრელად მიჩნეულია ადგილი 6 A. ასევე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობის თვითმფრინავის პირველი ექვსი რიგი: იქ არ ისმის ისე ძლიერად ძრავის ხმაური, შეიძლება გაშალო ფეხები, ამას გარდა ეს ადგილები ახლოა გასასვლელთან. ხოლო „ყველაზე უარესია“ ადგილი 31-E, თვითმფრინავის უკანა ნაწილის შუაში.

* * *

**ჩინელმა ტაქსისტმა გადაარჩინა მოზარდი გოგონა, რომელიც ტროტუარში ჩავარდა**



მძღოლის გმირული საქციელი ნათელყვეს სამეთვალყურეო კამერებმა. გამოქვეყნებულ კადრებში მოჩანს, თუ ჩამოქცევის შემდეგ როგორ გაიქცევა მამაკაცი ქალიშვილის დასახმარებლად და ჩადის წარმოქმნილ ექვსმეტრიან ორმოში. „დავუყვირე მას, მაგრამ მან არ მიპასუხა. მაშინ შევანჯღრიე და იგი გონს მოვიდა“, — თქვა მამაკაცმა.

* * *

**ობამას მთავარმა მეტოქემ პრაიმერიზზე კიდევ ხუთ შტატში გაიმარჯვა**



რომნი მტკიცე გამარჯვებებს აღწევს წინასაარჩევნო არჩევნებში ნიუ-იორკის, პენსილვანიის, კონექტუკის, დელავერისა და როდ-აილენდის შტატებში. მის გარდა შიდაპარტიულ კამპანიაში მონაწილეობას ღებულობენ ექს-სპიკერი ნიუტონ გინგრიჩი და კონგრესმენი რონ პოლი. წინა დღით გინგრიჩმა არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ შეიძლება დატოვოს რბოლა.

* * *

**ძსელში გაჩნდა ვიდეოკომპრომატი ტიმოშენკოზე: ქალი, რომელიც ჰგავს ექს-პრემიერს, დაავადების სიმულირებას ახდენს**

ვიდეოზე ქალი, რომელიც ჰგავს უკრაინის ყოფილ პრემიერს, ადვილად გადაადგილდება კამერაში, იშლის ლოგინს, იცვამს ქუსლებიან ფეხსაცმელებს და იყურება სარკეში. მოულოდნელად იგი, თითქოს შეეშინდაო რაღაც ხმებისა, იმალება საბნის ქვეშ. კამერაში შედის მამაკაცი, რომელიც ჰგავს ტიმოშენკოს ადვოკატს სერგეი ვლასენკოს.



მობილური კომუნიკაციები







მაგთი MAGTI

# ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

## მაგთიკომი და სამსუნგი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ

**„მაგთიკომი“ და „სამსუნგი“ სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ. ისინი ამ პარტნიორობის ფარგლებში მომხმარებელს სთავაზობენ „სამსუნგის“ პრემიუმ კლასის ოთხი ტიპის ტელეფონს (GALA\YTab, GALA\Ynote, GALA\YLE\US, GALA\Y SII) და კომპანია „მაგთიკომის მიერ განხორციელებულ მობილურ და ინტერნეტკავშირს.**

იმ მომხმარებლებს, რომლებიც პირველ აგვისტომდე შეიძენენ ტელეფონებს, საჩუქრად გადაეცემათ ყოველთვიურად ერთი გიგაბაიტი ინტერნეტმომსახურება მთელი წლის განმავლობაში.

ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე „სამსუნგის“ სმარტფონები დღეისთვის საკმაოდ პოპულარულია და ერთი წლის განმავლობაში მაგთიკომის HSPA+ ტექნოლოგიის უფასო ინტერნეტით საშუალებას იძლევა.

ამ ტელეფონებს საკმაოდ დახვეწილი დიზაინი და მოხმარების მარტივი მენიუ აქვთ. 8,94 მმ-იანი კორპუსი და თხელი ჩარჩო სმარტფონის დახვეწილობის და თანამედროვე დიზაინის მაჩვენებელია.

ტელეფონების ორბირთვიანი პროცესორი, რომელიც 1, 2 მეგაჰერცი სიმძლავრისაა, უზრუნველყოფს ინტერნეტის სწრაფ მუშაობას, რამდენიმე ოპერაციის ერთდროულად მართვას და მონაცემთა სწრაფ გადაცემას. HSPA+ ინტერნეტ პროტოკოლის მხარდაჭერა სამჯერ აღემატება ამ პროტოკოლის წინა ვერსიის სისწრაფეს.

SAMSUNG GALAXY Nexsus-ი კი AndroidTM 4.0 Ice Cream Sandwich-ის ბაზაზე შექმნილი მსოფლიოში პირველი ტელეფონია. ამ ტელეფონიდან შესაძლებელია google-ს საძიებო სისტემაში მუშაობა და სხვადასხვა ინფორმაციის გადმოტვირთვა.

ტელეფონი ასევე აღჭურვილია 5-მეგაპიქსელიანი ფოტო-ვიდეო კამერით, როელსაც აქვს როგორც ავტოფოკუსირების, ისე სიბნელეში გადაღების შესაძლებლობა.ასევე შესაძლებელია Full HD ფორმატში ვიდეოს გადაღება და შემდეგ მისი რედაქტირება.

სასტუმრო „რედისონში“ 24 აპრილს გაიმართა პრესკონფერენცია და ხელი მოეწერა კომპანია „მაგთიკომსა“ და „სამსუნგს“ შორის პარტნიორობის დოკუმენტს.




**„ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ „მაგთიკომი“ ხდება ჩვენი პარტნიორი. ამ დასკვნამდე საკმაოდ სერიოზული კვლევების შედეგად მივედით. იმით, რომ საქართველოს მოქალაქეებს ეს სერვისი მივაწოდოთ, არა მხოლოდ ბიზნესს ვაკეთებთ, არამედ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს აუცილებლად წაადგება საქართველოს“** – განაცხადა შუა აზიაში კომპანია „სამსუნგის“ პრეთავმჯდომარემ სონგუ კიმმა.

**„ვამაყობთ იმით, რომ ასეთი ძლიერი პარტნიორი გვყავს. კომპანია „მაგთიკომი“ დღეს ორ მილიონ აბონენტს უწევს მომსახურებას. დღევანდელ ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე ძალიან დიდი რბოლაა და ასეთი ურთიერთობა და მხარდაჭერა წინსვლაში უდავოდ დაგვეხმარება. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარმატებებით, ვამაყობთ ასეთი პარტნიორობით. მადლობა „სამსუნგს“, რომ ჩვენ აგვირჩია პარტნიორად“,** – თქვა „მაგთიკომის“ გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ.

როგორც „სამსუნგის“ წარმომადგენელმა ნიკოლოზ დოზორჯგინიძემ განაცხადა, კომპანია „სამსუნგს“ ქართულ ბაზარზე ამჟამად 25% უჭირავს, ამ პროექტის ამუშავების შემდეგ კი ისინი 51% -ის დაკავებას ვარაუდობენ.

**„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გავზარდოთ კაპიტალდაბანდება საქართველოში, რისი მაჩვენებელიც უახლოეს მომავალში ჩვენი ფლაგმანი მოდელის წარმოდგენა იქნება“,** – განაცხადა ნიკოლოზ დოზორჯგინიძემ.

ჟურნალიტების კითხვაზე, თუ რა ტიპის იქნება ეს ურთიერთობა, ითქვა, რომ „სამსუნგის„ მიერ წარმოებული სმარტფონის აპარატებს, „მაგთიკომი“ ინტერნეტით უზრუნველყოფს და ეს სერვისი მომხმარებლისთვის უკვე დღეიდან იქნება ხელმისაწვდომი.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ აქციაში ჩაერთვება მხოლოდ ის ტელეფონები, რომელთა დისტრიბუცია ოფიციალურად ხორციელდება „სამსუნგის“ მიერ.

**ტელეფონის შეძენა შესაძლებელი იქნება როგორც „მაგთიკომის“ ოფისებში, ისე ნებისმიერ მაღაზიაში, სადაც „სამსუნგის“ ჰოლოგრამიანი ტელეფონები იყიდება. აქციის ფარგლებში შეძენილი ტელეფონების მფლობელებმა სხვადასხვა საჩუქრის მისაღებად უნდა დარეკონ ტელეფონის ნომერზე 72223.**

**გია გაბრიჭიძე**

ტურიზმი

# სხვათა იმედად ნუ ვიქნებით!

## თურქული ფასები, ინდუსი პერსონალი და ოცნებები ვიზიტორებზე

**ზაფხულის ტურისტულ სეზონამდე ძალიან ცოტა დარჩა. ტურისტების მისაღებად მზადება დაწყებულია. საქართველოს მთავრობას და ტურისტულ კომპანიებს საფუძვლიანი იმედი გაუჩნდათ, რომ ამ ზაფხულს ჩვენი ქვეყნის შავიზღვისპირეთში გაცილებით მეტი ადამიანი დაისვენებს, ვიდრე შარშან. ამაზე ოცნების საბაბს მათ თურქული ფასები აძლევს. შარშანდელთან შედარებით, წელს თურქეთში დასვენება 10-15%-ით გაძვირდა.**

ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ თურქეთში სასტუმროების გაძვირება საქართველოს ტურისტების რაოდენობაზე დადებითად იმოქმედებს, რადგან თურქეთი დამსვენებელთათვის სწორედ დაბალი ფასების გამოა მიმზიდველი.

პირველი შეფასებები ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებმაც გააკეთეს. საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ტუროპერატორი **„ენ ტური“** ადასტურებს, რომ თურქეთში დასვენება 10-15%-ით არის გაძვირებული. გიორგი შენგელია ვარაუდობს, რომ ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს დამსვენებელთა რაოდენობას, თუმცა ეს ტენდენცია ჯერ არ შეინიშნება.

**„ინტერკონტინენტალში“** დარწმუნებულნი არიან, რომ თურქეთის ტურისტულ ბაზარზე უკვე მომხდარი საფასო ცვლილება გავლენას საქართველოშიც მოახდენს და ეს უდავოა.

**„გავლენას ნამდვილად ველოდებით, თუმცა ცვლილება რა მასშტაბით განხორციელდება, საუბარი ჯერ ადრეა. საქართველო ტურისტებისთვის იმდენად საინტერესო და მიმზიდველი ქვეყანაა, რომ არავითარ შემთხვევაში არ განელდება ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. რაც შეეხება მომსახურების ფასს, თავისთავად გაძვირდება. თურქეთში სასტუმროებზე გაზრდილი ფასი ქართულ ბაზარზეც რეალურად აისახება“,** – აცხადებენ „ინტერკონტინენტალში“.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ დარგის ექსპერტებს. მათი აზრით, თურქეთის ტურისტულ ბაზარზე დაფიქსირებული ცვლილებები საქართველოში გავლენას ვერ მოახდენს. მარინა მეტრეველის აზრით, ეს არც იმ ტურისტების განწყობაზე იმოქმედებს, რომლებსაც თურქეთის მზიან კურორტებზე აქვთ გადაწყვეტილი დასვენება.

**„მეეჭვება, რომ თურქეთში სასტუმროებზე ფასების ზრდამ ქართულ ბაზარზე გავლენა მოახდინოს. იქ რაც არ უნდა გაძვირდეს ტურისტული პაკეტი, მომხმარებელს დასვენების სურვილს არ დაუკარგავს. ამ შემთხვევაში თურქეთში ტურისტების მიზიდულობის ფაქტორი მომსახურების მაღალი დონეა, რაც ჩვენთან ძალიან დაბალია“,** – ამბობს ექსპერტი მარინა მეტრეველი.

საქართველოში მომსახურების დონე მართლაც რომ საკმაოდ დაბალია. ტურიზმის დეპარტამენტში ამას იმით ხსნიან, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება ადრეულ სტადიაზეა. ბათუმის ტურისტული სააგენტოს დირექტორის ეკა ჭანიშვილის განცხადებით, ტურისტულ ინდუსტრიაში კვალიფიკაცია ძალიან დაბალია, ვინაიდან ტურიზმი საქართველოში ახლა ვითარდება და პროფესიონალი კადრების მომზადებაც ახლა იწყება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, ნომერ პირველი პრობლემა ტურისტულ ზონებში კადრის მოძიებისას უცხო ენის ბარიერია. აჭარის ტურისტული ინდუსტრია მომსახურების თვალსაზრისით არ არის თურქულის დონისა.

ამიტომაც საქართველოში უკვე გამოჩნდნენ თურქი და ინდუსი „კადრები“, რომლებიც ადგილობრივ კურორტზე დასაქმდნენ. ისინი უმეტესად სასტუმროებსა და ბარ-რესტორნებში მუშაობენ, ვინაიდან ამ სფეროში მათ ქართველებზე მეტი გამოცდილება აქვთ.

**„თურქეთში მომსახურე პერსონალის გადამზადების არაერთი ტრენინგი და სასწავლებელია, საქართველოში კი ეს სფერო ახლა ვითარდება“,** – აღნიშნავენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში.

**ეკა ბაქრაძე,**
Presage.tv

№77. ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2012 წელი.

# ლეკვი ლომისა სწორია...



**მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლამ მოიტანა ურთიერთობების შეცვლა საზოგადოებასა და ოჯახში. გაძლიერდა მამაკაცების მიერ ქალების სოციალური კონტროლი. ოჯახში ყველაზე კარგად გამოიხატა პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული უთანასწორო დამოკიდებულება ქალის მიმართ. მაგალითად, ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონების მიხედვით ქმარს შეეძლო ცოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოეყენებინა თავისი კანონიერი უფლება: ეცემა, მოეჭრა ყური, თმა, ცხვირი, შუბლზე დაღი დაესვა, ან გაეგდო სახლიდან. ღალატისათვის ქალი სიკვდილით ისჯებოდა.**

ქალებმა არაერთი ძნელი ეტაპი განვლეს. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ქალების შესახებ სხვადასხვა მითი არსებობდა. შუა საუკუნეების ინკვიზიციის დროს არსებობდა მითი კუდიანი ქალების შესახებ, რასაც მრავლის სიცოცხლე შეეწირა.

ძველი ბერძნები აღმერთებდნენ ქალის სილამაზეს, ქმნიდნენ მის სკულპტურულ პორტრეტებს, რითაც ტაძრებს ამშვენებდნენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში „ზედმეტ“ გოგონებს ჰყრიდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ. ქალები სახლს იყვნენ მიჯაჭვულნი, არ შეეძლოთ, ჩარეულიყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ისინი ემორჩილებოდნენ ოჯახის წევრ მამაკაცს – ჯერ მამას, მერე ქმარს, ძმას, თუ შვილს. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამბობდა: **„სამი რამ შეიძლება ჩაითვალოს ბედნიერებად: ის, რომ შენ ველური ცხოველი არ ხარ, რომ შენ ბარბაროსი არა ხარ და რომ შენ კაცი ხარ და არა ქალი“. ჰიპოკრატე კი ამბობდა, რომ „ცოლი კაცს მხოლოდ ორჯერ ახარებს: ქორწინების დღეს და დაკრძალვის დღეს“.**

ებრაელი მამაკაცები ყოველდღე იმეორებდნენ ლოცვას: **„მადლობელი ვარ შენი, ღმერთო, რომ არ შემქმენი მე წარმართად, გაუნათლებლად და ქალად“.** „ნეკნიდან შექმნა“ საფუძველი გახდა ქალზე სერიოზული თავდასხმებისა. ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა შექმნა ადამი და მას უკვდავი სული შთაბერა, ხოლო ევას შესახებ ბიბლიაში არავითარი მითითება არ არის. საკითხმა, აქვს თუ არა ქალს სული, სამღვდელოებაში დიდი დავა გამოიწვია, ზოგი კიდევაც ეჭვობდა, არის თუ არა ქალი ადამიანი. 585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დიდი დისკუსიის შემდეგ, ერთი ხმის უპირატესობით ფორმალურად ცნეს, რომ ქალს აქვს სული. სპარსეთში კანონი ქალს უფრო სასტიკად სჯიდა, ვიდრე კაცს. სასამართლოში ორი ქალის ჩვენება ერთი კაცის ჩვენებას უდრიდა.

ეგრეთ წოდებული „ქალთა საკითხი“ ახალ ხანაში, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში წარმოიშვა – ქალებმა მოითხოვეს მამაკაცებთან უფლებრივად გათანასწორება საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებაში. გამოქვეყნდა „ქალთა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც ოლიმპია დე გუჟმა დაწერა. ქალებმა დააარსეს თავიანთი კლუბები, ჟურნალები, დაიწყეს დებატებში მონაწილეობა. სქესთა შორის გარეგანი განსხვავების მოსპობის მიზნით ჩაიცვეს მამაკაცის ტანსაცმელი. კონვენტმა ქალებს ჩამოართვა შეკრების უფლება და დახურა მათი კლუბები.

1848 წლის თებერვლის რევოლუციის დროიდან ქალთა მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა. ფემინისტური (ქალთაძ მოძრაობის პირველ ეტაპზე დაისახა ქალებისათვის საარჩევნო უფლების მიცემის ამოცანა. ამ მოძრაობის მონაწილეები სუფრაჟისტებად იწოდებოდნენ. სუფრაჟიზმი (ხმის უფლებაძ წარმოიშვა ინგლისში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, შემდეგ გავრცელდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. საარჩევნო უფლება პირველად ფინელმა ქალებმა მოიპოვეს 1905 წელს, შემდეგ კი – ნორვეგიელებმა და დანიელებმა.

სოციალისტ ქალთა II საერთაშორისო კონფერენციამ 1910 წელს კოპენჰაგენში დააწესა ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი. 1934 წ. აგვისტოში პარიზში ქალთა მსოფლიო კონგრესზე შეიქმნა ქალთა მსოფლიო კომიტეტი ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის (1939-45წწ.ძ დროს ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ქალების მიმართ გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ ზოგიერთი ეროვნული რელიგიური მიმდინარეობანი. მაგალითად, ინდუსმა რეფორმატორებმა შეძლეს ზოგი რელიგიური მითითების გაუქმება. 1929წ. აიკრძალა ე. წ. სატი-ქვრივი ქალების თვითმკვლელობა. 1966წ. ქვრივებს ოფიციალურად დართეს მეორედ გათხოვების ნება. აიკრძალა 14 წლამდე გოგონების გათხოვება. 1950 წლის კონსტიტუციით გამოცხადდა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა სქესის მიუხედავად. მაგრამ, აღნიშნული საკანონმდებლო აქტები და თვით ის ფაქტიც, რომ საკმაო ხნის განმავლობაში ინდოეთის მთავრობას ინდირა განდი მეთაურობდა, არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინდოეთში ქალთა და მამაკაცთა რელიგიური თანასწორუფლებიანობაა. ქალთა საკითხის მოგვარება ყველაზე რთულია ისლამურ ქვეყნებში.

ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ რეფორმატულმა მოძრაობამ ყველაზე დიდი გაქანება ქრისტიანულ სამყაროში მიიღო.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1967წ. მიიღო დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში (შეიქმნა 1945წ. დეკემბერშიძ XX საუკუნის ბოლოს შედიოდა 135 ქალთა ეროვნული ორგანიზაცია მსოფლიოს 117 ქვეყნიდან. ქსდფ-ის მუშა ორგანოა სამდივნო, გენერალური მდივნის მეთაურობით. ქსდფ-ის პირველი პრეზიდენტი იყო ეჟენი კოტონი (საფრანგეთიძ.

აუცილებლად უნდა შევეხოთ ქალთა გენდერულ მდგომარეობას საქართველოში წარსულში და თანამედროვე ვითარებაში.

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მთელი ჩვენი ისტორია მდიდარია გამოჩენილ ქალთა სახელებით. ქართველი ქალი ოჯახში მუდამ ერთგული დედა იყო, ბრძოლაში – შეუდარებელი და უშიშარი მებრძოლი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში - აქტიური და ენერგიული.

საქართველოს მფარველი, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქალია – ღვთისმშობელი მარიამი. ასევე ქალი – წმინდა ნინო მიჩნეულია ქართველთა განმანათლებლად და ქრისტიანობის გამავრცელებლად. ძლიერი საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლიკა ქალია – თამარ მეფე.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატავს თავისი ეპოქის მოწინავე იდეებს, ზოგჯერ ის წინ უსწრებს ეპოქას და თავისი პროგრესული იდეებით აღორძინების ხანის წინამორბედად გვევლინება. პოემაში გატარებულია ჰუმანური აზრი, რომ შესაძლებელია, უფლებრივად დედაკაცი მამაკაცს გაუთანასწორდეს. რუსთაველმა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა ბერძნული აფორიზმით გამოაცხადა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ქალის ტრფობა, ქალისათვის თავდადება პოემის მთავარი გმირების იდეალად არის გამოცხადებული. პოემის გმირ ქალებს წმინდა და სათუთ გრძნობებთან ერთად მაღალი საზოგადოებრივი აზრი ამოძრავებთ. „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ქალის კულტი მაჩვენებელია იმისა, რომ მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში ქალი საკმაოდ უფლებამოსილი უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ XII საუკუნის საქართველოში სახელმწიფო საქმეებში ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, აჯანყებული ფეოდალების დამშვიდება თამარ მეფეს მოუხერხებია ქალების - ხვაშაქცო ქალისა და კრავაი ჯაყელის დახმარებით. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველომ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებასა და კულტურულ აყვავებას თამარ მეფის დროს მიაღწია და ამ ეპოქას ოქროს ხანა ეწოდა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქალის სოციალური ფუნქცია ძირითადად მეუღლეობით, ახალი თაობის კვლავწარმოებით და საოჯახო შრომით განისაზღვრებოდა. ქალის მიერ მამაკაცური სამუშაოების შესრულება საზოგადოებაში მოწონებით არ სარგებლობდა.

XIX საუკუნეში დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მკაცრი კრიტიკა. ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი წამოსწია. იგი ცნობდა ქალის თანასწორ უფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. იგი წერდა: **„შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაკავებლად“.** ქალთა უფლებების ზრდას კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ჩამოყალიბდა მუშა ქალების ფენა. XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი სასწავლებელი – ქალთა უმაღლესი კურსები. „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციას“ ილიას მეუღლე – ოლღა გურამიშვილი ხელმძღვანელობდა. მწერალმა ქალმა ანასტასია ხოშტარია-ერისთავმა 1913წ. გორში დააარსა ქალთა გაერთიანება „მანდილი“ და სხვ. ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართველი ქალები თავისი განათლებით და პროფესიონალიზმით ლიდერობდნენ. 1989 წლის აღწერით ყოველ 1000 ქალიდან 204-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა, ქალებს ეკავათ ხელმძღვანელი პოსტები სახალხო განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. საქართველოში 1990 წლის ეკონომიურ კრიზისამდე ქალები ჩაბმული იყვნენ ფართომასშტაბიან ეკონომიურ საქმიანობაში. ქალთა შრომითი საქმიანობა განსაკუთრებით მაღალი იყო სოფლის მეურნეობაში, საზოგადოებრივი კვების სისტემაში; ეკონომიკის ე.წ. მამაკაცურ სექტორშიც კი ქალთა მონაწილეობამ 30-40%-ს მიაღწია. ქალები უმრავლესობას წარმოადგენდნენ ისეთ პრესტიჟულ პროფესიებში, როგორიცაა: მასწავლებელი, ექიმი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ინჟინერი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე. მმართველობით და პოლიტიკურ სტრუქტურებში კი შეზღუდული იყო ქალთა რიცხვი. ქალები ძირითადად მართვის საშუალო რგოლში იყვნენ წარმოდგენილი.

გარდამავალ პერიოდში პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, უპირველეს ყოვლისა, ქალებზე იქონია გავლენა.

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა 54.4% ქალია. შედეგად მკვეთრად შემცირდა დასაქმებულ ქალთა რიცხვი. და მაინც ქალები უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ მწვავე კრიზისის გადასატანად. მათ ხელი მიჰყვეს არარეგისტრირებულ ბიზნესს (წვრილი ვაჭრობა, შრომითი მიგრაციაძ. დღეს ხშირად, სწორედ ქალია ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ქალთა პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და მათი აღმოფხვრა მოითხოვს სახელმწიფოს და კანონების მხარდაჭერასაც. დამოუკიდებელი საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა კონვენციას ქალთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. 1995 წელს დაიწყო გაეროსა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის „გენდერული განვითარება, განხორციელება. პარლამენტში მოქმედებს დედათა და ბავშვთა და ოჯახის უფლებების დაცვის ქვეკომიტეტი. დღევანდელ საქართველოში ქალებს უკავიათ მინისტრების, მინისტრის მოადგილეების, ელჩების, დეპარტამენტის უფროსების თანამდებობები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ურთიერთობებში, არიან პარლამენტის ქალი დეპუტატებიც (6%ძ, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისია და საერთოდ გენდერული პრობლემების დიდი ნაწილი გადაჭრას საჭიროებს.

**სტატისტიკა გვაუწყებს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანალიტიკოსების შეფასებით 134 ქვეყანაში სქესთა თანასწორობის რეიტინგის მიხედვით საქართველო 88-ე ადგილზე აღმოჩნდა.** რეიტინგი შედგენილია ოთხი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, კერძოდ, მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განათლების ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა. რეიტინგს სათავეში მეორე წელია ისლანდია უდგას, მეორე და მესამე ადგილს კი ფინეთი და ნორვეგია იკავებენ. რეიტინგში გვისწრებს 9 პოსტსაბჭოთა ქვეყანა.

საქართველოში სრულად არ არის დაცული ქალთა უფლებები. ყოველი მე-3 ქალი ძალადობის მსხვერპლია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მაგალითად, 2010 წელს ოჯახური ძალადობის 364 შემთხვევა დაფიქსირდა ანუ 12 შემთხვევით მეტი, ვიდრე 2009 წელს. მიზეზად სახელდება მძიმე სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების გააქტიურება და შესაბამისად ოჯახში პასიურობა. სწორედ გენდერული ძალადობის დაძლევაზე იმსჯელეს ჩვენს პარლამენტში 2011წ. 5 მაისს, შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და გაეროს მოსახლეობის, ფონდის ორგანიზებით თემაზე – „თანამშრომლობა გენდერული ძალადობის დაძლევისათვის საქართველოში“. აღინიშნა ამ პრობლემის სერიოზულობა, ხაზი გაესვა იმასაც, რომ პარლამენტმა მიიღო რამდენიმე კანონი გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით და უნდა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები მიღებული კანონების განსახორციელებლად და გენდერული თანასწორობის მისაღწევად.



**მარიკა ლაზვიაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

## ინფორმაცია

### სოციალურად დაუცველი პირველკლასელები საუკეთესო კერძო სკოლებში უფასოდ ისწავლიან

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახალ პროექტს იწყებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2012-2013 სასწავლო წლიდან პირველკლასელები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან საუკეთესო კერძო სკოლებში უფასოდ დაიწყებენ სწავლას.

ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა სოციალურად დაუცველი პირველკლასელები ლუკა გულედანი, ალექსანდრე ქუმსიაშვილი და ლიზი ნანავა კერძო სკოლაში მიიყვანეს, სადაც ისინი 15 სექტემბრიდან სწავლას დაიწყებენ.

„თბილისის მწვანე სკოლაში“ მინისტრებმა მოსწავლეებს პირადად გააცნეს გარემო, სადაც მომავალში ისწავლიან.

პროექტი იმ მოზარდებს შეეხებათ, რომელთა ოჯახისთვის მინიჭებული ქულა 57 000 ქვემოთაა ან რომელთა ოჯახებიც განსაკუთრებულ თანადგომას საჭიროებენ.

ინტერპრესი

## ხელოვანის ბედისწერა

# „მერჩივნა, თან გადავყოლოდი ჩემი ნამუშევრების ნანგრევებს და ნამსხვრევებს“

**ახლა, სვანურად გოლიათური აღნაგობის არ გახლავთ ვახტანგ ონიანი, იგი ერთი საშუალო ტანის, ინტელიგენტური შესახედაობის კაცია, წყნარი, გულდაჯერებით საუბარი უყვარს სახვით ხელოვნებაზე, საერთოდ, კულტურაზე, სადაც ხელოვანის შინაგანი სიძლიერე იგრძნობა, ასეთი დამამახსოვრდა იგი ოცი წლის წინანდელი შეხვედრიდან, როდესაც დაბადების სამოცი წლისთავი მივულოცე ერთ-ერთ სახელოვან ქართველ მოქანდაკეს...**

მას შემდეგ რეები გადაგვხვდა საქართველოსა და ქართველებს, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის და, რა გასაკვირია, ამ უბედური წლების დაღი ვახტანგ ონიანსაც დასჩენოდა... ჯერ, ოთხმოცი წელი მხრებზე, ამ წლებს მოყოლებული დარდი და ნაღველი — ოჯახური თუ საზოგადო — და მერე გაუნელებელი გულდაწყვეტა, რასაც სახელმწიფოსგან მისი ნამუშევრების ერთთავად გულგრილი დამოკიდებულების გამო განიცდიდა და განიცდის ხელოვანი. განა სიტყვა „გულგრილი“ აქ იმას ნიშნავს, რომ ვახტანგ ონიანს სახელ-დიდება აკლია, ანდა, გამოფენები არ ჰქონია ჩვენთან თუ უცხოეთში. პირიქით. ჩვენ აქ სხვა რამ გვაქვს მხედველობაში, რაზეც ქვემოთ მოგიყვებით.

ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდერში დაბადებული და მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი 1951 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ამართლებს კიდეც სახელოვანი პედაგოგების: ს. კაკაბაძის, კ. მერაბიშვილის, ვ. თოფურიძის, ს. ქობულაძის, ვ. შუხაევის იმედებს — გულდაგულ მუშაობს, ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის გამოფენებზე, ქანდაკებასთან ერთად ქმნის ჩანახატების სერიას.

— ნეტა იმ დროს, — სამოციანი წლების დასაწყისს, — იგონებს ჩვენი უფროსი მეგობარი და კოლეგა გურამ გომართელი, — ახალგაზრდა კაცი ჟურნალ „დროშაში“ ვმუშაობდი სამაგალითო ადამიანის გვერდით. ეს გრიგოლ აბაშიძეო, ეს ნიკა აგიაშვილიო, ეს ნიკოლოზ ჩაჩავაო, და, რა თქმა უნდა, სულგანათლებული გურამ თიკანაძე და ვახტანგ ონიანი — თავისი საქმის უზადო ოსტატები... ვახტანგის გრაფიკული ნამუშევრები დღესაც გამორჩეულია ჟურნალ „დროშის“ მაშინდელ ნომრებში, საერთოდ, ჩემი აზრით, იგი ერთ-ერთი უნიჭიერესი „სამოციანელია“.

* * *

ჰოდა, აი, მივადექით იმას, თუ რაში მდგომარეობს ხელისუფალთა გულგრილი დამოკიდებულება ვახტანგ ონიანის და, საერთოდ, არა მარტო ამ მოქანდაკის შემოქმედებისადმი. 2008 წლის 22 ნოემბერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს მოუთხრობდა ერთობ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ.

**„რადიო „ჰერეთის“ ცნობით, სიღნაღის „რეაბილიტაციას“ სოლომონ დოდაშვილის ძეგლის შემდეგ, ქართული ხალხური ეპოსის გმირის, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის გიგანტური ქანდაკებაც ემსხვერპლა. 1980 წელს ვახტანგ ონიანის მიერ გაცოცხლებული მითი უკვე ნაწილ-ნაწილ დაშლილი ყრია ყოფილი ტურისტული ბაზის ეზოში... სიღნაღის გამგეობაში ძეგლის დემონტაჟის მიზეზები არ იციან. გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე მათეშვილის თქმით, დემონტაჟის შესახებ ოფიციალური ბრძანება მათ ცენტრიდან მიიღეს...**

...მწარედ ელიმება ამ ფაქტის გახსენებისას ჩვენი რედაქციის სტუმარს ვახტანგ ონიანს:

**— იმ ნომერში დიდი ამბები ატეხა თქვენმა გაზეთმა: დაიბეჭდა ჩემი მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციებისადმი. მერე რა: ამათ ხომ წესად შემოიღეს „ძეგლების მსხვრევა“ და მარტო მე კი არა, ახლა ჩამოგითვლით, ვის არ მიაყენეს მორალური ტკივილი... აი ისინი, რომელთა ნამუშევრებიც გაანადგურეს: ნიკოლაძე, კალაძე, წერეთელი, შხვაცაბაია, ტაბატაძე, გ. ოჩიაური, ი. ოჩიაური, სიხარულიძე, კაკაბაძე, თოფურიძე, მიქაუტაძე, ურუშაძე... გული ატკინეს ჩვენს დიდ მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს... თქვენ რა გგონიათ, მარტო „ამირანი“ მოაცილეს იქაურობას? უბედური გამოდგა ჩემი სხვა ნამუშევრებიც: „ოქროს ვერძის“ აქსესუარები საქართველოს სამხედრო გზაზე, ილიას, აკაკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვაჟას, ნინო ჭავჭავაძის, ერეკლე II-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ფიროსმანის, ალექსანდრე პუშკინის, სულხან-საბა ორბელიანის, რაზმაძის რელიეფური და გორელიეფიური ნამუშევრები...**

**სიმართლე უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილთაგან ზოგი ამ ხელისუფლების მოსვლამდეა მომსპარი, მაგრამ ფაქტია, რომ „ნაციონალებმა“ უმაღლეს დონეზე განაგრძეს ძეგლთა მსხვრევა... რას იზამ... მერჩივნა, თან გადავყოლოდი ჩემი ნამუშევრების ნანგრევებსა და ნამსხვრევებს, საერთოდ, არ მოვსწრებოდი ხელისუფლების ასეთ ცინიკურ, უდიერ დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი... „ამირანის“ მაგივრად „პრომეთეს“ სამარცხვინო ძეგლი დადგეს ცირკის გადმოღმა მხარეს, მერე, ეტყობა, ვიღაცის რჩევა შეისმინეს და მალევე მოაცილეს იქაურობას... მე გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის მთავარი მხატვარი ვიყავი. დამირეკეს, იქაურობის ლიკვიდაცია უნდათო. ჩავედი, აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო. ვნახე, რა ვნახე: ჩვენ რომ გვახსოვს, იმ ექსპოზიციის 20 პროცენტი არ იყო დარჩენილი სახლ-მუზეუმში. მივწერე ყოველივე კულტურის სამინისტროს, არავითარი რეაგირება არ ყოფილა.**




— ბატონო ვახტანგ, უკვე ხნოვანი ბრძანდებით, მაგრამ, მგონი, ჯანღონე არ გაკლიათ... თუ მუშაობთ ამჟამად, თუ ქმნით რაიმეს?..

**— მე ვარ მოქანდაკე, ანუ თითქმის მთლიანად დამოკიდებული სახელმწიფოზე... 20 წელიწადია სახელმწიფო შეკვეთა არ მიმიღია, ასეა ყველა ჩემი კოლეგა. ჰოდა, გამოდის რომ, მშივრები ვართ... სამაგიეროდ, მოჰყავთ უცხოელები და დგამენ ათას უნიჭობას... ჯერ ერთი, რომ შექმნა, საჭიროა მასალა, ელემენტარულად, ფუნჯის საყიდელი ფული არა მაქვს.. იმ „შავბნელ“ დროში ხელშეკრულებას ცალკე თბილისი და ცალკე მოსკოვი გვიდებდა, ეს კი, რაღაც ანაზღაურებას ნიშნავდა... სხვათა შორის, ახლა გამახსენდა და უნდა ვთქვა: არც ბიჭვინთაში და, არც ცხინვალში ხელი არავის უხლია ჩემი ქანდაკებებისთვის...**


ამირანი


ნადირობის ქალღმერთი დალი

* * *

განვლილია დიდი გზა... ვინც ვახტანგ ონიანის შემოქმედებას გასცნობია, უთუოდ შეამჩნევდა, რომ მიუხედავად თემის მრავალფეროვნებისა, მისი ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა... მაინც, რა გასაკვირია, მშობელ სვანეთს უტრიალებს. აკი შექმნა კიდეც მხატვარმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები სვანეთის თემაზე. მაგალითად, 1967 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ლიტერატურულად დამუშავებული და დასურათებული სვანური ხალხური ეპოსი „ბეთქილი“, 1969 წელს მისივე დასურათებული და ლიტერატურულად დამუშავებული წიგნი „გივერგილი“, მოგვიანებით, ასევე ხალხური ეპოსი „ლადლერი“, 1975 წელს ასევე ლიტერატურულად დამუშავებული და ერთ მთლიანობაში მოქცეული (ვარიანტების საფუძველზეძ ქართული ხალხური ეპოსი „ამირანი“, მისივე ილუსტრაციებითა და გრაფიკული გაფორმებით...

...უამრავი გამოფენა ჩვენში და უცხოეთში, უამრავი ჯილდო, მედალი და აღიარება საზღვარგარეთულ პრესაში...

და მაინც, ნაღველი და გულის ტკენა, რომელიც, თითქოს, მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა... რას წარმოიდგენდა, თუ მისი სიცოცხლე, მისი უსაყვარლესი მეუღლე, მშვენიერი, ნიჭიერი ქალბატონი დალი ბაქრაძე შემოქმედებითი აღმაფრენის წლებში სამუდამოდ დატოვებდა... გადაიტანა, გაუძლო უმძიმეს ტრაგედიას... მერე ეს „ძეგლების მსხვრევა“, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, თითქოს დაებედა ვახტანგ ონიანს: 1984-85 წლებში სსრ კავშირის მთავრობის დადგენილება (ანდროპოვის პერიოდიძ „მონუმენტების დადგმის აკრძალვის შესახებ“ მასაც მისწვდა — სოფელ კოდაში ვერ დაიდგა „არსენა მარაბდელის“ მონუმენტი. მხატვრის თქმით, ფაქტობრივად, ეს დადგენილება მხატვართა კავშირმა მოიშველია ბოროტების დასაფარავად, რაც იმაში გამოიხატა, რომ ავტორის დაუკითხავად 30 პროცენტი გადიდებული ქანდაკება (საწყისი სამუშაოების ჩათვლით 80 პროცენტიძ ღამით დაანგრიეს... ქანდაკების პროექტი და მოდელი კი სადღაც ინახებოდა თეთრიწყაროს მაშინდელ რაიალმასკომში. ახლა სადღაა, ვინ გაიგებს!

**— ასე მოვედი რვა ათეულამდე... რა უნდა ქნა — სევდა და წინააღმდეგობები ბედისწერასავით დამყვა... ვცდილობ, გავუძლო, —** მეუბნება მოქანდაკე და მაინც სვანური სიმხნით მემშვიდობება.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ვაიმე, ენავ!

# ...გიცავდი და... აღარ გიცავ...

### „ДА, БЫЛИ ЛЮДИ В НАШЕ ВРЕМЯ...“

**ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შთამბეჭდავად აღინიშნა პროფესორ ირაკლი ანთელავას დაბადების 100 წლისთავი. უფრო ადრე, 21 თებერვალს, ამ გამორჩეული სწავლულის დაბადების დღეს, რომელმაც ელვარე ნიჭითა და დაუღალავი, თუმცა ნაადრევად შეწყვეტილი შრომით (ბატონი ირაკლი 66 წლისა გარდაიცვალა) ესოდენ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მისდამი მიძღვნილი ვრცელი წერილი გამოქვეყნდა პროფესორ ოთარ ჟორდანიას ავტორობით.**

**აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართულ ხალხმრავალ შეკრებაზე ბევრი რამ საგულისყურო მოვისმინეთ სახელოვანი იუბილარის შესახებ. ამჯერად მკითხველის საყურადღებოდ ორი ეპიზოდი გამომაქვს ირაკლი ანთელავას ცხოვრებიდან, იმისი ვაჟის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ანთელავსს ენა-პირით მონაყოლი.**

— ჩვენ მაშინ სოხუმში ვცხოვრობდით (ნეტავ იმ დროს!.. **— თ. ე.**). მამას არ უყვარდა საოჯახო საქმეებზე სიარული, მაგრამ ერთხელ დედას მაინც „გაეგზავნა“ აფთიაქში წამლის შესაძენად. იქ კი ასეთ სცენას შეესწრო: ხანდაზმული აფხაზი ქალბატონი, რომელმაც მხოლოდ აფხაზური და მეგრული ენები იცოდა, ვერ აგებინებდა თანამშრომელს წამლის დასახელებას. ამის შემსწრე ერთ რუს პოლკოვნიკს, „მოთმინებადაკარგულს“, ბრიყვულად შეუნიშნავს — გეყოფა, ქალო, ძაღლურ ენაზე ლაპარაკი, ნორმალურ ენაზე თქვი, რა გინდაო. „ძაღლური ენაო“ და მიეჭრა მამა თურმე იმ ტუტუც პოლკოვნიკს და ხეთქა ასე, რომ ძირს დააგდო. მერე წამოაყენა და კიდევ ხეთქა...

მეორე ამბავი ხაშურის რკინიგზის სადგურზე მოხდა ერთ ზაფხულს, როცა მამა და სოკრატ არშბა, ჩვენი გამოჩენილი უროლოგი, ბავშვებს აცილებდნენ ბორჯომში დასასვენებლად მომავალთ. იქაც გამომტყვრალა ორი თავხედი რუსი სამხედრო და ბაქანზე ქართულად მოჟრიამულე ნორჩების ენა უდიერად მოუხსენებია. იმ ორიდან ერთს სოკრატი გაუსწორდა, როგორც საჭირო იყო, მეორეს — ამ საქმეში უკვე გამოცდილების მქონე მამა...

**აქ ვამთავრებ გოგის მონათხრობის გადმოცემას და ჩემი მხრივ დავძენ: ახლა, როცა ჩვენი საბრალო, საყვარელი ენა ასეთ მძიმე დღეშია, როცა მშობლიურ ქართულს ასე უმოწყალოდ ვამახინჯებთ ტელეეკრანიდანაც, პრესაშიც, ყოველდღიურობაშიც, სახელისუფლებო „ტრიბუნებიდანაც“ — არ გვაწყენდა იმის ცოდნა, თუ როგორი ქომაგები ჰყავდა მას სწორედ „ყოველდღიურობაშიც“... დიახაც, იყვნენ ადამიანები ჩვენს დროში... სათაური კი დიდი რუსული ენიდან, დიდი მიხეილ ლერმონტოვის „Бородино“-დან ავიღე...**

თამაზ ეზანოიძე

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 50 | 15 | 10 000 | 1 000 |
| | | [illegible] | 50 | | | |
| | | [illegible] | 50 | | | |
| | | [illegible] | 50 | | | |
| | | [illegible] | 50 | | | |
| [illegible] | [illegible] | | | | | |

[illegible]

მსოფლიო კონგრესი

# ახალგაზრდა მეცნიერი მხედართა ქვეყნიდან

**ცამეტი წლის იყო თორნიკე გაჩეჩილაძე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსოფლიო ლიტერატურულ კონკურსში რომ გაიმარჯვა და 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების დღეებში ორგანიზებულ ახალგაზრდულ საერთაშორისო ოლიმპიურ ბანაკში მიიწვიეს.** 2009 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიურ სემინარში, სადაც მისმა მოხსენებამ – „გლობალიზაცია და ოლიმპიზმი (პარალელები)“ მაღალი შეფასება დაიმსახურა, რამაც ფაქტობრივად, განსაზღვრა მისი ელინურ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა. ამიერკავკასიიდან 700 კონკურსანტიდან იმ 33 რჩეულს შორის მოხვდა, საბერძნეთის პელოპონესის უნივერსიტეტის ადამიანთა განვითარებისა და ბიომეცნიერების ხარისხის ფაკულტეტზე რომ განაგრძო სწავლა სპორტული ორგანიზაციისა და მართვის დეპარტამენტის ასპირანტურის პროგრამით: „ოლიმპიური სწავლება, ოლიმპიური განათლება, ოლიმპიური შეჯიბრებების მართვა და



ორგანიზაცია“. ამ დღეებში ახალგაზრდა მკვლევარი თურქმენეთის დედაქალაქში გაემგზავრა, სადაც ცხენოსნობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესი გაიმართება. ეტყობა, დადგა დრო, ადამიანებმა ჯეროვნად დააფასონ ცხენის როლი მსოფლიო ცივილიზაციათა ფორმირების პროცესში. ბუნების ამ გონიერ ქმნილებას ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილებაში, ვაჭრობის, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაშიც ხომ დიდი წვლილი მიუძღვის. ცალკე თემაა ცხენების მეშვეობით ომების სტრატეგიების შეცვლა.

როცა ცხენზეა ლაპარაკი, წინა პლანზე გამოდის ახალთექური ჯიში, რომლითაც მთელმა მსოფლიომ გაილამაზა ცხოვრება. ამიტომ სავსებით ლოგიკურია თურქმენთა თაოსნობა – პატივი მიაგონ ბუნების ნაზოძებ განძს – რაშების მოდგმას. თურქმენებმა პირველად შარშან უხმეს მსოფლიოს. 27-28 აპრილს ამგვარ თავყრილობაზე საქართველოც იქნება წარმოდგენილი. „ცხენთა ქართული ჯიშები, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ისტორიული ტრადიციები საქართველოში“, – ასეთი თემით წარსდგება პელოპონესის უნივერსიტეტის საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის მაგისტრანტი, გაზეთ „ლელოს“ მიმომხილველი თორნიკე გაჩეჩილაძე მსოფლიო კონგრესზე, რომლის უხუცესი მონაწილე 82 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა კი 24 წლის ქართველი მომხსენებელი იქნება.

**ვაჟა დანელია**

ბრძოლა უზურთოდ

# არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ ნავთობდოლარებით

**ევროპის საფეხბურთო კლუბების სიმბოლიკა მუსლიმანური თემების ზეწოლის გამო იცვლება. კერძოდ, ესპანურმა და იტალიურმა გრანდებმა თავიანთ ემბლემებს ქრისტიანობის მთავარი სიმბოლო – ჯვარი მოაცილეს.**

**რაც დრო გადის, ფეხბურთის მოედნები სულ უფრო მეტად ემსგავსება რასობრივი კონფლიქტებისა და რელიგიური ბრძოლების ასპარეზს და ამ ვნებათაღელვას ცივილიზებულობის თხელი ნაჭუჭიც ვერ აკავებს. მუსლიმანური ზეწოლის შედეგად ევროპული ფეხბურთის გრანდებმა „რეალმა“ და „ბარსელონამ“ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს და უარი თქვეს თავიანთ ემბლემებში ქრისტიანული ჯვრების გამოყენებაზე, რომლებიც იქ ოდითგანვე იყო გამოსახული.**

ისე კი ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოზე პირველი შეტევა ჯერ კიდევ 2007 წელს განხორციელდა, როცა მილანის „ინტერნაციონალემ“, რომელიც დაარსების საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა, თავის ფეხბურთელებს თეთრი მაისურები ჩააცვა, რომლებზეც უზარმაზარი წითელი ჯვარი იყო გამოსახული. უნდა ითქვას, რომ სწორედ წითელი ჯვარი თეთრ ფონზე ქალაქ მილანის ემბლემაა. თითქოს განგებ მოხდაო, იმ წელს კენჭისყრამ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტურნირში „ინტერს“ თურქეთის „ფენერბახჩე“ შეახვედრა. სტამბოლში იტალიელებმა მინდორზე ახალი ფორმით გასვლა ვერ გარისკეს, მაგრამ შინ საპასუხო შეხვედრაში სათამაშოდ წითელჯვრიანი თეთრი მაისურები ჩაიცვეს. ორი თამაშის შედეგით „ფენერბახჩე“, მართალია, დამარცხდა, მაგრამ იზმირელმა ადვოკატმა ბარის კასკიმ „ინტერს“ სასამართლოში უჩივლა. სარჩელში ნათქვამი იყო, რომ იტალიელთა ფორმამ „შეურაცხყო მუსლიმთა რელიგიური გრძნობები“, რადგან ჯვარი სხვა არაფერია, თუ არა „ისლამზე დასავლური რასის უპირატესობის“ სიმბოლო და მუსლიმებს ჯვაროსნების სისხლიანი ლაშქრობების ხანასახსენებსო.

მაშინ „ინტერის“ ადვოკატებმა შეძლეს იანიჩართა შემოტევის მოგერიება, მაგრამ როგორც ერთმა ჟურნალისტმა გონებამახვილურად შენიშნა, ჯერ კიდევ ქვეყნები ამბობდნენ, რომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, ოქროთი დატვირთულმა ვირმა მისი აღება ვერ შეძლოსო. როგორც ჩანს, ამ მრისხანე იარაღს ვერც „ბარსამ“ გაუძლო და ვერც „რეალმა“.

საქმე ისაა, რომ წელიწადში 470 მილიონი ევროს შემოსავლის მქონე „ბარსელონას“ ხარჯიც დიდი აქვს. მაგალითად, თავდამსხმელ დავით ვილიას შეძენა კლუბს 40 მილიონი ევრო დაუჯდა, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ლიონელ მესის ყოველწლიური ხელფასი კი 10,5 მილიონი ევროა... ამიტომაა, რომ ხელგაშლილად ცხოვრება „ბარსას“ სპონსორების გარეშე არ შეუძლია. ამიტომაც იყო, რომ 2010 წელს „ბარსამ“ სპონსორული შეთანხმება „ყატარის ფონდთან“ გააფორმა, რომლის მფლობელია ამ ქვეყნის მონარქი. ხელშეკრულების თანახმად ხუთ წელიწადში კლუბი ფონდიდან 170 მილიონ ევროს მი-



იღებს. ამის სანაცვლოდ არაბებმა ფეხბურთელთა მაისურებზე სპონსორის ლოგოტიპის განთავსება მოითხოვეს, რაც მისი არსებობის 111 წლის მანძილზე არ მომხდარა და, ამავე დროს... ემბლემიდან ჯვრის მოხსნის პირობაც წამოაყენეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად გააჭიანურა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ კაპიტულაცია გამოაცხადა და ემბლემებიდან ჯვარი მოაცილა. რამდენიმე დღის შემდეგ ანალოგიური გადაწყვეტილება „რეალის“ ხელმძღვანელობამაც მიიღო „ევროპელ და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანთა შორის კლუბის პოპულარობის განსამტკიცებლად“. ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი: მარტო კრიშტიანუ რონალდუს შეძენა „რეალს“ 80 მილიონი ევრო დაუჯდა!

სხვათა შორის, ბოლო წლებში ევროპულ ფეხბურთში უმდიდრესი არაბი შეიხების არნახული ექსპანსიაა, ხოლო ეს პროცესი „მანჩესტერ იუნაიტედით“ დაიწყო. ეს, ალბათ, იმის გამოძახილია, რომ ოდესღაც ცეცხლითა და მახვილით ევროპის დამორჩილება უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ამჟამად ამას ნავთობდოლარების წყალობით წარმატებით ახერხებენ.

**ირმა ირემაშვილი**




ჩემპიონთა ლიგა

# კლასიკურად ჩაშლილი „ელ კლასიკო“

**ფეხბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმიის ოცნება – ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ელ კლასიკო“ ეხილა – წლეულსაც აუხდენელი დარჩა.**

**უპირველესად, მოდით, ის ვიკითხოთ, ამით რა მოიგო სპორტის ყველაზე პოპულარულმა სახეობამ. პასუხი ერთმნიშვნელოვანია – არაფერი.**

თუმცა, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ შემთხვევით ასე მაღლა ვერავინ აფრინდება და, უფლის ნებით, მოვლენები კანონზომიერად განვითარდა.

**„ბარსელონა“ – „ჩელსი“ – 2:2 (2:1)**
**პირველი მატჩი – 0:1**
**გოლები:** ბუსკეტსი, ინიესტა; რამირესი, ტორესი.
**გაძევება:** ტერი („ჩელსი“).
**მსაჯი:** ჩეთინი (თურქეთი).

„არისტოკრატებს“ დებიუტშივე გამოაკლდათ კეჰილი, რომელსაც კუნთი გაუწყდა, ხოლო 37-ე წუთზე, როცა ისინი 0:1 აგებდნენ, თურქმა მსაჯმა საეჭვო ვითარებაში გააძევა მინდვრიდან მათი გუნდის კაპიტანი ტერი.

ასეთი სცენარი ბევრს გატეხავდა ფსიქოლოგიურად, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მალე ანგარიში 2:0 გახდა, მაგრამ რობერტო დი მატეოს შეგირდებმა ვაჟკაცურად გადაიტანეს ნოკდაუნი, მეორე ტაიმში გმირულად გაუძლეს მასპინძელთა შტურმს და ღირსეულად, უკვე მეორედ უკანასკნელ წლებში, გადამწყვეტ რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვეს.

როცა კეისარს კეისრისას მივაგებთ, დამარცხებულთა პრობლემებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რაც, რა თქმა უნდა, არაფერს ცვლის და გამამართლებელ საბუთად არ გამოდგება, მაგრამ მაინც.

ფავორიტის ფიასკო, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მისი თავკაცის ტაქტიკურ „იაღლიშებშია“ საძებნი, რომელმაც ისე და-




გეგმა კატალონიელთა საწვრთნელი პროცესი, რომ ისინი სწორედ მაშინ გამოიყურებიან გამოფიტულებად, როცა, წესით და რიგით, მინდორზე უნდა დაფრინავდნენ – ანუ სეზონის ფინიშზე, სატიტულო ბრძოლების ჟამს.

რაც შეეხება ფატალურ უიღბლობას (როგორც ერთი კვირის წინათ ლონდონში, ბურთი ამჯერადაც ორჯერ მოხვდა „სტემფორდ ბრიჯის“ ბინადართა კარის ძელს, მათ შორის მესის მიერ პენალტის ნიშნულიდან შესრულებული დარტყმისას), ან საკუთარ მეკარე ვალდესთან შეჯახებისას ახალგამოჯანმრთელებული პიკეს კიდევ ერთხელ დაშავებას, ესენი შედარებით წვრილმანებად უნდა მივიჩნიოთ.



სხვათა შორის, პირველი შეხვედრის მსგავსად, სტუმრებმა გოლები „ნოუ კამპზეც“ მსაჯის მიერ ტაიმების ძირითადი დროისთვის დამატებულ წუთებზე გაიტანეს. დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია, რაც თვალნათლივ ადასტურებს მათ დაუოკებელ ჟინს.

და ბოლოს: მას შემდგე, რაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ფორმატი შეიცვალა, მისი ზედიზედ ორჯერ მოგება ვერავინ მოახერხა. ეს ტრადიცია წლეულსაც შენარჩუნდა.

**გიორგი შოთაძე**

მხოლოდ კეთილი გულით ნათქვამი

# პროვინციიდან დანახული ქართული მედიის პარადოქსები

## 1. „გამარჯობა, ეკა, ლევან!“

**ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ. თუმცა, რა არის საყურებელი?! – ჩვენთან ხომ სულ ორი არხი აჩვენებს – საზოგადოებრივი მაუწყებელი და „რუსთავი-2“. გამოლენჩებული უნდა იყო, სულ ერთსა და იმავე სახეებს რომ უყურო...**

ჰოდა, ჩემო ბატონო, ერთ-ერთ ამ „იშვიათ ყურებისას“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ასეთი უცნაური რამ ვნახე: „ახლა სპორტის ამბებს გაგაცნობთ ოთარ გიორგაძე, – გვითხრა „მოამბის“ ერთ-ერთმა წამყვანმა და ოთახის კუთხეში მდგარი მაგიდიდან წამოდგა ერთი მშვენიერი ყმაწვილი (შეხედულების მიხედვით ნამდვილად ვერ დაუწუნებდით ვერაფერს!ძ, წინა მაგიდასთან ასევე (და უფრო!ძ შეხედულებით მშვენიერი წამყვანი ქალის გვერდით დაჯდა და... ჩემს შვილებს, ეკასა და ლევანს, მიესალმა: „გამარჯობათ, ეკა, ლევან“!

ამდენ მაყურებელში მაინცდამაინც ჩემი ოჯახის წევრები რომ გამოარჩია, გაოცებისაგან ერთი კი შევხტი სკამზე და შვილებს მივაჩერდი: „საიდან იცნობთ?“!

ეჰ, მე! მართლაც პროვინციაში მცხოვრები არიფი არ ვყოფილვარ?! თურმე, ჩემს შვილებს კი არა, წამყვანებს – ეკასა და ლევანს – მიესალმა!

მე, საერთოდ, სულ ვცდილობ, დადებითი კუთხიდან შევხედო მოვლენებს და გავიფიქრე: **„არა, მთლად მასეც არ იქნება საქმე! ალბათ, ხანგრძლივი მივლინებიდან ან შვებულებიდან დაბრუნდა კაცი, პირველად ღია ეთერში შეხვდა კოლეგებს და არ უნდა მისალმებოდა?**

ზემოთ ხომ ვთქვი, ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ-მეთქი. მაგრამ ამჯერად გავტეხე ნავსი და მეორე დღეს საგანგებოდ მოვემზადე „მოამბის“ საყურებლად (სხვანაირად არ იფიქროთ: უბრალოდ ამ ამბავმა ძალიან დამაინტერესა!ძ.

და აი, ოთახის კუთხიდან ცენტრალურ მაგიდასთან გადმოჯდა ისევ ის მშვენიერი (შეხედულებით!ძ ყმაწვილი, უფრო მშვენიერი წამყვანის გვერდით დაჯდა და სწორედ მაშინ, როცა ვიფიქრე ამჯერად ჩვენ, ტელემაყურებლებს, მოგვესალმება-მეთქი, ისევ:

**– გამარჯობა, ეკა, ლევან!**

ჰე, ჩემი ძმა! გვაშაყირებ?!..

მე, საერთოდ (ზემოთ, „ცოტა აქეთ“ უფრო აქეთ, ესეც გითხარით, მგონიძ, ვცდილობ, ყველაფერს დადებითი კუთხიდან შევხედო და ერთი ხანობა ვიფიქრე: იქნებ ტელემაყურებლებს კი არა, „მოამბის“ წამყვანებს – ეკასა და ლევანს აშაყირებს-მეთქი.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში შენ, ჩემი ძმა: ჯერ ერთი და, ლამაზი ქალის (ეკაზე ვამბობძ გაშაყირება კაცურმა კაცმა არ უნდა იკადროს; და მეორეც, ეს აპოლონივით ვაჟკაცი (ლევანზეა საუბარიძ გაკვეთილზე დაგვიანებული სკოლის მოსწავლესავით ისედაც კუთხეშია მიყენებული და რასაც ამ იდეის (კუთხესთან მიყენებისძ ავტორი და თვით ეკა აშაყირებს (ალბათ, ხუმრობით, რასაკვირველია!ძ, ის არ ეყოფა? აი, მაგალითად, რაღაც ახალ ინფორმაციაზე წამოიწყებს საუბარს ლევანი, ეკა კი - ლევან, ამაზე უფრო მოგვიანებითო (ჩაიცინებსძ და სხვა რამეზე გააგრძელებს საუბარს!

მოკლედ, ამ ჩემი (ჩვენიძ ტელევიზორიდან ვინ ვის აშაყირებს, ვერ გაიგებ!

მე კი (რა ვქნა?!ძ, ისედაც სუსტი ნერვები მაქვს და ამ... ამათზე ვიშალო ნერვები?!

და ისევ მოკლედ: გამოვრთე, რა!.. (ტელევიზორიძ. ვინც „იყიდის“, იმან უყუროს!

**გური ხიოლია,**

საქართველოს პროვინციაში მცხოვრები პროფესიონალი მკითხველი და ტელემაყურებელი (ალაგ-ალაგ)

**P. S.** ჰოდა, ვინც უყურა, იმან მითხრა: „მოამბის“ სპორტულ ნაწილს ორი წამყვანი ჰყავსო. ეჰ, რას არ გაგაკეთებინებს ცნობისმოყვარეობა: კიდევ ერთხელ ვუყურე „მოამბეს“, უფრო სწორად – იმ მომენტამდე, სპორტის ამბები რომ იწყება... როგორც იქნა გამოაცხადა ეკამ: „სპორტის ამბებს დღეს **ნიკა ბერაძე** გაგაცნობთო“.

აი, ადრე, ოთარ გიორგაძე რომ წამოდგებოდა, იმ მაგიდიდან შეხედულებით მასზე არანაკლები ყმაწვილი წამოდგა და იმ მაგიდას მიუახლოვდა, ეკა რომ იჯდა და გვერდით რაღაცის გამო დასჯილ სკოლის მოსწავლესავით ფეხზე იდგა (კედელთან! დაფასთან! – რა მნიშვნელობა აქვსძ აპოლონივით ვაჟკაცი ლევანი...

**მერე? – მოუთმენლად იკითხავს მკითხველი.**

**მერე რა, ჩემო ძვირფასო მკითხველო და, ერთხელ შენც უყურე „მოამბეს“ და ნახავ! მით უმეტეს, „მოამბის“ დიდებულ, მშვენიერ და, უეჭველად, ეფექტურ რეკლამაში საქვეყნოდ აცხადებენ: პირველები ჩვენ გეტყვით ყველაფერსო!**

**თქვენც პირველად „მოამბეში“ ნახეთ, რა!**

გ.ხ.

## სანთელი

### ნუგზარ გაბრიჩიძის ნათელ ხსოვნას



**ჩვენო მარად დაუვიწყარო ძმაო ნუგზარ!..**

26 აპრილს პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, ანუ ფიზიკურად აღარა ხარ ჩვენთან, ჩვენ გვერდით, თორემ სულიერად ისევე გადაწნული ხარ ჩვენს სიცოცხლეს, როგორც გუშინ იყავი, დღეს ხარ და ხვალაც იქნები. ასე რომ, სიკვდილი შენს შემთხვევაში ნამდვილად დამარცხებულია, შენს კაცობასთან და შენს სახელთან ვერაფერს გახდა, შენი მართლაც ნათელი ხსოვნის წალკოტში დავიწყების ბალახი ვერც ააბიბინა და ვერც ააბიბინებს.

ბევრისგან განსხვავებით, შენ არც ქართველობაში ჩაჭრილხარ და არც კაცობაში. შენ ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის ვარსკვლავზე იყავი დაბადებული და კვლავ იმ ვარსკვლავის სხივქვეშ განაგრძობ ხანმოკლე მიწიერი არსებობის შემდგომ მარადიულ ზეციურ სიცოცხლეს, რაც ყველას ხვედრი როდია...

შენი მეგობრები

**თენგიზ ქავთარაძე, თემურ კუჭუხიძე, ზაურ ფხალაძე, თემურ მურღულია, როლანდ გაბრიჩიძე, ზურაბ მსხვილიძე**

**მეუღლე მზია ვაშალომიძე, შვილები გიორგი, თენგო, რძალი ნათია სიდამონიძე, შვილიშვილი ელისაბედ ფოფხაძე, ნანუკა ფოფხაძე, დისწული თამუნა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



### ოთარ თენგიზის ძე ფოფხაძე

**პანაშვიდი 26, 27 IV, 17 სთ. მისამართი: იოსელიანის ქ. №37, მე-5 სადარბაზო, მე-11 სართული. დაკრძალვა 28 IV, 14 სთ.**

**მიშიკო გვარამაძე თავისი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი ახლო ნათესავი, კარგი ქართველი, შესანიშნავი პიროვნება**

### ოთარ ფოფხაძე

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

მემატიანე

# წიგნი ჰერეთის ბედ-იღბალზე

**„ჰერეთის (საინგილოს) საერო და სასულიერო პირები“ I-დან XXI საუკუნემდე“ – ასე ჰქვია მიხეილ და ერეკლე ყულოშვილების წიგნს, რომელიც, ჰერეთის გამოჩენილ პირებთან ერთად, ამ კუთხის პრობლემებსაც წარმოაჩენს.**

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილო ქართველების თხოვნას საქართველოს საზოგადოებისადმი. ირკვევა, რომ ისინი 1990 წლიდან გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან – დაცული არ არის ქართველთა ინტერესები და უფლებები, ყოფილა მრავალი შემთხვევა ქართველების ცილისწამების გზით დაკავებისა და დასჯისა. აზერბაიჯანელი ჩინოვნიკები ისე გათავხედებულან, რომ ინგილო ქართველებს უზღუდავენ ახალშობილი შვილებისთვის ქართული სახელების დარქმევას და ქართული გვარების მიცემას (ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებშიძ.




1990 წლიდან მოკლებულნი ვართ, და თუ ასე გაგრძელდება, დროთა განმავლობაში დავკარგავთ საინგილოს, ისტორიულ მიწაზე აღარ იქნება ქართული ენა და სარწმუნოება“, – აღნიშნულია შესავალ წერილში.

ეს ტკივილი მთლიანად გასდევს წიგნს, სადაც ჰერეთისთვის თავდადებულ ისეთ პიროვნებებს გაეცნობით, როგორიც იყვნენ: პოდპოლკოვნიკი ლეონიდე ისაშვილი, დიდი მოღვაწე ივანე ბულულაშვილი, მამა მიხეილ ყულოშვილი, მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი, პოლკოვნიკი კოტე ტარტარაშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწეები – აბელ ბაირამაშვილი და ბართლომე ხუციშვილი, ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი რაფიელ ივანიცკი – ქართველი...

ავტორების თქმით, ბაქოდან კახში ჩასული აზერბაიჯანელები, აზერბაიჯანის ხელისუფლების ხელშეწყობით, იჭრებიან ქართველთა ეზოებში, ავიწროებენ, იშენებენ სახლებს, მაღაზიებს... „ჩვენ კი ამის საშუალებას არ გვაძლევენ და არც შეგვიძლია უსახსრობის გამო. კახში 1990 წლიდან არ მუშაობს 500 კაცის ტევადობის კლუბი, რომელშიც არც ერთი სკამი აღარ არის, შენობა შესაკეთებელია. საქართველოდან პერიოდულად ჩამოდიოდნენ მეცნიერები, მწერლები და კლუბში გვიკითხავდნენ ლექციებს სხვადასხვა ისტორიულ თემაზე. ჩამოდიოდნენ მსახიობები და ვუყურებდით ქართულ სპექტაკლებს, რასაც

თავდადებულთა შორისაა 30 წლის კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი, ვინც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის გამართულ აგვისტოს ომში გმირულად აღესრულა და, ფაქტობრივად, ჰერ წინაპართა გზა გააგრძელა.

ამ წიგნის შედგენაზე ერეკლე მამასთან ერთად მუშაობდა, მაგრამ მის გამოცემას ვერ მოესწრო. ერეკლეს მამამ – ცნობილმა ექიმლარინგოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ საქველმოქმედო საზოგადოება „ჰერეთის“ თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ყულოშვილმა დაასრულა ეს წიგნი. წიგნში გამოქვეყნებულია მიხეილ ყულოშვილის ლექსებიც.

მზაკვარი შაჰ-აბასი თავის დროზე ინგილოებზე წერდა: „ჰენგილო, სადაც კი შეგხვდეთ, დედაბუდიანად მოსპეთ, არ დაინდოთ. ეს ისეთი გაუტანელი, ჯიუტი ხალხია, რაგინდ უჭირდეს, ვერ ათქმევინებთ გაჭირვებას“.

ინგილოები თავგანწირვით იბრძოდნენ სარწმუნოების, ენისა და ზნე-ჩვეულებების დასაცავად. წიგნი ისტორიული მაგალითების გამოხმობით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს საინგილოს და მის მცხოვრებთა ბედ-იღბალზე, და მოგვიწოდებს ერთ მუშტად შევიკრათ დედასამშობლოსგან მოწყვეტილი ქართველების თანადგომისათვის.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

## საწვავის იმპორტმა იკლო

**საქართველოში საწვავის იმპორტმა, 2012 წლის იანვარ-მარტში 162 262 709,6 კგ. შეადგინა, რაც 2011 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 4,2 ათასი ტონით, ანუ 2,6 პროცენტით ნაკლებია.**



**ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ამავდროულად, აღნიშნული მაჩვენებელი 27 ათასი ტონით, ანუ 17 პროცენტით აღემატება 2010 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.**

**ამასთან, მიმდინარე წლის I კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირებულია ბენზინის იმპორტი, დიზელის საწვავის კი – გაზრდილი.**

## მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მცხოვრები თამაზ კვიციანი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 23 მარტს კვიციანმა შურისძიების მოტივით მეზობლად მცხოვრებ პაპუნა ჩიკვატიას ცივი იარაღის, კერძოდ დანის გამოყენებით, სახის, მუცლის, ფეხისა და გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა.**

**შსს-ს ცნობით, თამაზ კვიციანი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ჩიკვატია მიყენებული ჭრილობების შედეგად შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.**

**24 აპრილს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კვიციანი მესტიაში დააკავეს.**

**დაკავებული დანაშაულს აღიარებს. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.**

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ისტორიის ფურცლები

# „სექსუალური რევოლუციის სახის“... მუსიკალური მომავალი

**მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე განთქმული მიუზიკლების „კატებისა“ და „იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავის“ ავტორი ენდრიუ ლოიდ ვებერი ახალი მიუზიკლის დადგმას აპირებს, რომლის თემა, როგორც ჩანს, უახლესი ისტორიის ყველაზე გახმაურებული სექსუალურ-პოლიტიკური სკანდალი იქნება, რომელსაც „პროფიუმოს საქმე“ ეწოდება.**

ზოგს, შესაძლოა, ამ ამბის დეტალები აღარ ახსოვს, ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში ინგლისის სამხედრო მინისტრის ჯონ პროფიუმოს საყვარელი ვინმე კრისტინ კილერი იყო, რომელსაც მექალთანე მინისტრი ლოგინში სამხედრო საიდუმლოებებს უყვებოდა ხოლმე, თავად კრისტინა კი მინისტრის გათქმულ ამბებს თავის მეორე საყვარელს — საბჭოთა მზვერავ ევგენი ივანოვს უყვებოდა. მაგრამ საქმეში გულუხვი და მხურვალე კრისტინას მესამე საყვარელი, შავკანიანი ნარკომანი ჯაზის მუსიკოსი ჩაერია, რომელმაც ეჭვიანობის სცენა სროლით მოაწყო. ზნეობრივად „სუსტი“ მინისტრიც ამ ამბავში „დაიწვა...“

ის ძველი დრამა მედიაში საკმაოდ თავისებურად აისახა: 1963 წელს ფოტოხელოვანმა ლუის მორლიმ კრისტინ კილერის გენიალური ფოტოსესია მოაწყო: მან სრულიად შიშველი ქალიშვილი სკამზე დასვა და ყველა შესაძლო რაკურსით გადაუღო. მას შემდეგ კრისტინი თავისი სკამიანად სექსუალური რევოლუციის პირველ სიმბოლოდ აღიარეს, რომელმაც დასავლეთი პროფიუმოს სკანდალის შემდეგ მალევე მოიცვა.

სტივენ უორდი, რომელიც, როგორც ჩანს, უებერის როკ-ოპერის მთავარი გმირი იქნება, მოდური მანუალური ექიმი და პორტრეტისტი იყო, რომლის პაციენტები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი, სამეფო ოჯახის წევრები, მათ შორის დედოფალ ელისაბედ II ბიძა ჰერცოგი ედინბურგელი, ლორდი მაუნტბეტენი, თვით მაჰატმა განდი, მინისტრები, მაღალი საზოგადოების ნაღები. მაგრამ ექიმს კიდევ ერთი იდუმალი გატაცება ჰქონდა — მას მეგობრებისთვის სექს-წვეულებების მოწყობა უყვარდა. პროფიუმოს საქმის გასაიდუმლოებულ გამოძიების ფედერალური ბიუროს მასალებში არის ამერიკელი მეწარმის კარბოლის ცნობა: 1961 წელს ლორდ ასტორის მამულში უორდმა ბევრი ლამაზი ქალიშვილი ჩაიყვანა. ვახშმობისას ოფიციანტი... დედიშობილა იყო, მას მარტო თავზე თვალებისთვის ნასვრეტებიანი ტომარა ეფარა. ვახშამი სტუმრების აღვირახსნილ ორგიაში გადაიზარდა, რომელთა შორის, უორდის თქმით, იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები, ხოლო შიშველი ოფიციანტი თავად მინისტრი იყო! ახლა ჟურნალისტები იმაზე ბჭობენ, თუ როგორ ასახავს რეჟისორი ამ ორგიას სცენაზე.

იმ და კიდევ მრავალი სხვა ორგიის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი მოდელი და მეძავი კრისტინ კილერი იყო.

— 1961 წლის ერთ ცხელ საღამოს ლორდ ასტორის მამულში გამართულ წვეულებაში მონაწილეობდა დაახლოებით ორმოცი კაცი, მას შორის პაკისტანის პრეზიდენტი აიუბ ხანი, ინგლისის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი და სამხედრო მინისტრი პროფიუმო, — იხსენებდა მოგვიანებით იგი. — აუზში ბანაობის შემდეგ მან სასახლის ჩვენება შემომთავაზა, მაგრამ როგორც კი პირველსავე ოთახში შევედით, მან ფერება დამიწყო...

საიდუმლო ინფორმაციას მინისტრს კრისტინა სექსის დროს სტყუებდა და საბჭოთა მზვერავ ივანოვს გადასცემდა, რომელიც მას... იმავე უორდმა გააცნო.

— კრისტინა მარტო ჩემი და პროფიუმოს კი არა, არამედ უმაღლესი რანგის ბარე კიდევ თორმეტი პირის საყვარელი იყო, — ამბობდა ევგენი ივანოვი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. — მაგრამ ყველასთან ერთად მან ასევე ნარკომანი საყვარელიც გაიჩინა, რომელმაც მის სახლში ერთხელ სროლა დაიწყო. ადგილზე პოლიცია მივიდა, შემდეგ კი მისი კავშირებიც გამოაშკარავდა, მე კი ლონდონის დატოვება მომიწია.

მზვერავ ივანოვის კარიერას ბოლო მოეღო, ოჯახი დაენგრა, თავად კი მოსკოვში გალოთდა. პროფიუმო სამარცხვინოდ დაითხოვეს მინისტრთა კაბინეტიდან, არადა მას, გენერალს, რომელსაც ცოლად დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალი, მსახიობი ვალერი ჰობსონი ჰყავდა, პრემიერ-მინისტრობას უწინასწარმეტყველებდნენ! თავად მეძავს ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ოღონდ არა ჯაშუშობისთვის, არამედ სხვა საქმეზე ცრუმოწმეობისთვის. პროფიუმო სასამართლოს გადაურჩა, განტევების ვაცად კი უორდი აქციეს, რომელსაც სუტენიორობის ბრალდება წაუყენეს. მაგრამ მან სასამართლოს ბოლო დღეს შხამი დალია. კითხვაზე: იგი მოკლეს თუ თავი მოიკლა? — სარწმუნო პასუხი ჯერაც არ არის, ამიტომ ასევე უცნობია, თუ ვინ იყო დოქტორი სტივენ უორდი: სუტენიორი, ორგიების ორგანიზატორი, ავანტიურისტი, თუ...

— მე ძალიან ჭკვიანმა, გონიერმა, ქარიზმატულმა და უაღრესად სახიფათო კაცმა გადამიბირა, რომელიც სიცოცხლეშიც და მას შემდეგაც მსოფლიოს დაზვერვებს ასულელებდა, — წერდა მოგვიანებით სტივენ უორდის შესახებ კრისტინა კილერი. — მან ჯერ პროფიუმოს საყვარელი გამხადა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო, მე ივანოვს ჩავწოლოდი ლოგინში... მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, თუ რა ხდებოდა მაშინ ამერიკასა და სსრ კავშირს შორის და ახლაც გაოცებული ვარ იმით, თუ რაოდენ დიდი როლი მეკისრებოდა!

კრისტინა კილერი აცხადებდა, რომ უორდი ორმაგი აგენტი იყო — იგი ინგლისელთათვისაც მუშაობდა და რუსებისთვისაც. სხვა ვერსიით იგი ინგლისში საბჭოთა ჯაშუშთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, რომელმაც ლამის ბრიტანეთის დაზვერვის თავკაცის გადაბირება შეძლო. თუმცა არსებობს სხვა ვერსიებიც. ახლა იმ ამბის გმირთაგან ცოცხალი მხოლოდ კრისტინ კილერია, რომელსაც 22 თებერვალს 70 წელი შეუსრულდა.

აღსანიშნავია, რომ პროფიუმოს საქმის მრავალი მასალა საჯარო ჯერაც არ არის, მაგრამ სტივენ უორდი რიგითი სუტენიორი რომ ყოფილიყო, უებერი, ალბათ, მის ამბავს ხელს არ მოჰკიდებდა, მით უმეტეს მის სხვა მიუზიკლთა გმირებს — იესო ქრისტესა და არგენტინის ყოფილ პირველ ქალბატონ ევიტა პერსონს თუ გავიხსენებთ...

მოამზადა

**დალი ხუნდაძე**



კრისტინზე უზომოდ შეყვარებული საბჭოთა მზვერავი ევგენი ივანოვი...

...და ინგლისის სამხედრო მინისტრი ჯონ პროფიუმო

ერთმანეთს გამოუცნობმა დოქტორმა სტივენ უორდმა შეახვედრა

## ჩვენი პრესდაიჯესტი

*გუშინდელი გაზეთებიდან*



### ქუთაისის პარლამენტის შენობა უკვე 74 მილიონი დაჯდა

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ცნობით, პარლამენტის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული და ხელმიუწვდომელია...

თანხა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მშენებლობისთვის არის გამოყოფილი, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის 2009-2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების გვერდის ავლით იხარჯება.

„ახალი თაობა“.

### სოხუმში აფხაზეთის ომისდროინდელი სამარხი აღმოაჩინეს

სოხუმის ახალ რაიონში, სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დროს, აფხაზეთის ომისდროინდელი სამარხი აღმოაჩინეს. სამარხი იმ კიბის სიახლოვესაა, რომლითაც ახალი რაიონი გუმისთის მასივს უერთდება.

წინასწარი მონაცემებით, დაკრძალულთა შორის არიან ბერძენი გიორგი ვარანელოვი, ქართველი თენგიზ რუსია და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელთა გვარები უცნობია.

„ქართული სიტყვა“.

### წელს ხორბლის ნათესების საერთო რაოდენობა 20 პროცენტით შემცირდა

წინასწარი სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ხორბალი დაახლოებით 40 ათას ჰექტარზე დაითესა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის პროგრამა ამერიკული ჯაგერის ტიპის ხორბლის თესლთან დაკავშირებით, ჩაფლავდა. საერთო ჯამში საქართველოში ხორბლის ნათესი ფართობი 20 პროცენტით შემცირდა.

„რეზონანსი“.

### დაიჭერს თუ არა ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს?..

ქართული პოლიტიკური სპექტრი და ჩვენი საზოგადოება, როგორც ჩანს, ძალიან გულუბრყვილო და მიამიტია, რომელსაც დღემდე სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვანო მერაბიშვილი დაიჭერს მიხეილ სააკაშვილს. ძნელია, პოლიტიკოსი უწოდო ადამიანს, რომელსაც სჯერა, რომ ვანო მერაბიშვილი, გნებავთ, სხვა სტრუქტურებიდან ვინმე, თითს დააკარებს სააკაშვილს, სანამ ამის ნებართვა და დასტური „ზემოდან“ არ იქნება.

„საერთო გაზეთი“

## ახალი ფოლკლორი

ჩამოვიდა ტრამპი, გაულოკეს ფრაკი,
რაღა მიჭირს, ტრამპთაუერს ამიშენებს რაკი...

რამაზ ილმელი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**პირველი** სექტემბერია, პირველკლასელი მიხო სკოლიდან ბრუნდება.
— რა გითხრეს, მიხო, სკოლაში?
— ეჰ, ათი წელი მომარჭვეს!

* * *

**მეგრელი** იღვიძებს ნამთვრალევი, გვერდზე ვიღაც ქალი უწევს. არაფერი არ ახსოვს.
— რამდენი წლისა ხარ შენ?
— რამდენისაც გამოვიყურები! — გაიპრანჭა ქალი.
— ნუ იტყვილებ ქალო, მაგდენს არ ცოცხლობენ!

* * *

**ორი** ნარკომანი ტყეში მიდის. ერთს რაღაც მოუნდა და ბუჩქებში გადავიდა. ცოტა ხანში იქიდან იძახის:
— ქაღალდი არა გაქვს?
— კარგი რა, ბიჭო, დატოვე და წამოდი!

* * *

**ქალმა** საღამოს გზა შეიმოკლა და სასაფლაოს გავლით მიდის. თან კანკალებს. უცებ ზურგსუკან ნაბიჯების ხმა ესმის. გაუსკდა გული. ხმა ახლოვდება, ვიღაც ეწევა. სირბილით არა, მაგრამ მოდის, ჩქარა. რაც არის ეგ არისო, მოტრიალდა და - ვიღაც ტიპი მოდის, თავისთვის. ამოისუნთქა.
— უი, როგორ შემეშინდა! - გაუღიმა უცნობს.
— ჰოო? არა უშავს, მეც მეშინოდა ხოლმე, როცა ცოცხალი ვიყავი.

* * *

**პალატის** კარზე აკაკუნებენ. შემოდის მედდა, გადახდის საბანს პაციენტს, ჩახდის, გაუპარსავს ერთ ადგილს, გადააბრუნებს, კლიზმას გაუკეთებს, ნემსს ატაკებს, მოკლედ მთელ პროცედურებს მორჩება და მიდის.



— ისა და... ხომ ვერ მეტყვით, შემოსვლისას რაღაზე აკაკუნებდით? — ეკითხება გაკვირვებული პაციენტი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24